ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 10 მაისი, 2017 №109 (7344) ფასი: 50 თეთრი

გიორგი კვირიკაშვილი: „ტრამპისგან მკაფიო მხარდაჭერა მივიღეთ“

გვ.2

9 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო

დეკამერონი

II ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

სოსო ოხანაშვილი: „პროკურატურას ჩემს დასაკავებლად მტკიცებულებები არა აქვს“

გვ.3

„ციანიდის საქმე არის შოუ, რომელიც ჩემთვის, მეუფე დიმიტრისა და მამა გიორგისთვის დაიდგა“

„ოცნება“ კალაძესა და ნარმანიას შორის არჩევანს ისევ ვერ აკეთებს

გვ.5

ხათუნა ლაგაზიძე: „კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვა უნიკალური მოვლენაა“

გვ.3

ტრამპი შეეცდება, ერთადერთი მაჩო პრეზიდენტი იყოს

კიდევ რას მოიმოქმედებს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ?

გვ.4

მამუკა გვაძაბია: „ასლან აბაშიძე და ლუჟკოვი ბიზნესპარტნიორები არიან“

„ლუჟკოვის ჩამოსვლა, ბაიკერების ჩამოსვლა, ასლან აბაშიძისადმი დანაშაულის მოხსნა მოვლენების ერთი ჯაჭვია“

ონლაინ კაზინოებით სარგებლობას მხოლოდ შემოსავლების სამსახურის მიერ რეგისტრირებული მოთამაშე შეძლებს

ISSN 1987-9385

გვ.6

გვ.6

პეკინის გამზირზე 3 თვე შეზღუდვები დაწესდება

ჯორჯიან ეირვეისი უცხოურ ავიაკომპანიებს დემპინგში ადანაშაულებს

გვ.6

გიორგი კვირიკაშვილი: „ტრამპისგან მკაფიო მხარდაჭერა მივიღეთ“

შორენა მარსაგიშვილი

ოფიციალური თბილისი პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის ამერიკაში ვიზიტით კმაყოფილია. ჩვენებური შეფასებული შტატებში ამ ქვეყნის ვიცეპრეზიდენტ პენსის მიწვევით გაემგზავრა. ამ ვიზიტამდე ჰამდენიმე დღით ადრე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოს მხარდასაჭერ დოკუმენტს მოაწერა ხელი.

აქედან გამომდინარე, ქართული დელეგაცია ვაშინგტონში ამაღლებულ განწყობაზე გაემგზავრა. გიორგი კვირიკაშვილმა ამერიკაში მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ბუნებრივია, დონალდ ტრამპთან გამართული შეხვედრა იყო.

ეს შეხვედრა 8 მაისს გაიმართა და, წესით, საქართველოში მთავარი თემა უნდა ყოფილიყო. მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის საქართველოში ჩამოსვლამ და მისმა თავხედურმა განცხადებებმა კვირიკაშვილი-ტრამპის შეხვედრა გადაფარა.

ნალუჟკოვარი ქვეყნის მთავრობის მეთაური ტრამპთან გამართული შეხვედრით კმაყოფილია. როგორც შეხვედრის შემდეგ გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, ქართულმა დელეგაციამ აშშ-ის პრეზიდენტისგან მკაფიო მხარდაჭერა მიიღო.

– ჩვენ გვქონდა საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსთან. გარკვეულწილად, შევაჯამეთ გასული 25 წლის ურთიერთობები და ვისაუბრეთ მომავალ 25 წელზე. მივიღეთ ძალიან მყარი გარანტიები აშშ-სგან ყველა მიმართულებით პარტნიორობის გაღრმავების შესახებ.

ეს იყო ძალიან პოზიტიური შეხვედრა. ჩვენ გვქონდა საუბარი ურთიერთობებზე ყველა მიმართულებით: თავდაცვის, უსაფრთხოების, კულტურის სფეროებში თანამშრომლობის, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარებისა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების კუთხით. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რომელიც გაგრძელდა ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრით, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ის იმედოვნებს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ საქართველოში სტაბილურობა დაისადგურებს. მთავრობის მეთაური იმაშიც დარწმუნებულია, რომ ამერიკასა და საქართველოს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

– აშშ-ის პრეზიდენტის მხრიდან ასევე მივიღეთ ძალიან მკაფიო გზავნილები საქართველოს მხარდაჭერის თაობაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთლიანობაში ეს შეხვედრები არის უმნიშვნელოვანესი საქართველოს მომავალი განვითარებისა და სტაბილურობისთვის ჩვენს ქვეყანაში. აშშ, როგორც საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას და ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაღრმავდება მომავალში, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

ამერიკის მხრიდან სრული მხარდაჭერის იმედი აქვს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე თამარ ჩუგოშვილს.

მისი თქმით, გიორგი კვირიკაშვილის აშშ-ში ვიზიტი და პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან შეხვედრა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სრული პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს.

– ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გაპრეზიდენტების მერე სულ რამდენიმე ქვეყნის ლიდერს შეხვდა და მათ შორისაა ჩვენი ქვეყანა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია ამერიკის მხარდაჭერისა საქართველოს მიმართ. გარდა იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ჩვენ გვაქვს სრული პოლიტიკური მხარდაჭერა, რაც ძალიან ნათლად გამოითქვა ამ შეხვედრებზე, ჩვენ ასევე გავააქტიურებთ ეკონომიკურ თანამშრომლობას ამერიკასთან.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა და, ზოგადად, მოქალაქეების ცხოვრების დონე გაუმჯობესდეს და შევძლოთ იმ პროგრესის შენარჩუნება, რომელიც გვაქვს და კიდევ უფრო წინ წავიწიოთ. ამიტომ ამერიკის, როგორც მსოფლიო ლიდერის, მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია, – აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა.

.....

გავრცელებული ინფორმაციით, ამ ვიზიტის დასრულების შემდეგ საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდება. როგორც სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, ეს ცვლილებები გაცილებით ადრე იგეგმებოდა. წასვლას აპირებდა პრემიერიც.

სიტუაცია მიუნხენის კონფერენციის შემდეგ შეიცვალა. სადაც გიორგი კვირიკაშვილი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ პენსს შეხვდა. პენსმა ის თეთრ სახლში დაპატიჟა. თეთრ სახლში დაპატიჟებულის შეცვლა კი ასეთი იოლი არ არის.

ირაკლი კობახიძე: „საფრანგეთი არ არის საპარლამენტო რესპუბლიკა, კონსტიტუცია კი – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

– საფრანგეთი არ არის საპარლამენტო რესპუბლიკა, ისევე, როგორც კონსტიტუცია არ არის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ზუგდიდში, კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვაზე განაცხადა.

– საფრანგეთის მაგალითი იყო აქ მოყვანილი. საფრანგეთი არის არასაპარლამენტო, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ჩვენ ვსაუბრობდით იმაზე, რომ საპარლამენტო სისტემებში, სადაც პრეზიდენტს ირჩევენ პირდაპირი წესით, წარმოიშობა სისტემური პრობლემები. აქედან გამომდინარე, ეს მაგალითი არ იყო სწორად მოყვანილი – საფრანგეთი არ არის საპარლამენტო რესპუბლიკა, ისევე როგორც, კონსტიტუცია არ არის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – ჩვენთვის საყვარელი ნაწარმოები კონსტიტუციის განმარტებისთვის, როგორც ჩანს, არ გამოდგება, – განაცხადა კობახიძემ.

მანვე მოიყვანა ავსტრიის მაგალითი, როდესაც ნეონაცისტური მიდრეკილებების მქონე პრეზიდენტობის კანდიდატმა 46% აიღო. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, იქ, სადაც არის დისბალანსი პრეზიდენტის ლეგიტიმაციასა და უფლებამოსილებას შორის, ჩნდება პრობლემები.

* * *

პარტიული სისტემის ჩამოყალიბება თუ გვინდა, რაც დღეს არა გვაქვს, საარჩევნო ბლოკის ინსტიტუტი აუცილებლად უნდა გაუქმდეს, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ზუგდიდში, კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას განაცხადა.

კობახიძის თქმით, საარჩევნო ბლოკების გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება პრინციპული.

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან 25 წელი გამოვიარეთ და პარტიული სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. განვითარების ამ გზაზე მთავარი დაბრკოლება სწორედ ბლოკის ინსტიტუტის მიერ იქმნება. თუ ჩვენ დღეს არ მივიღებთ გადაწყვეტილებას საარჩევნო ბლოკების გაუქმების თაობაზე, საქართველოში არასდროს პარტიული სისტემა არ ჩამოყალიბდება. თუ ჩვენ

გვინდა იმავე ადგილზე დავრჩეთ, მაშინ საარჩევნო ბლოკის ინსტიტუტი უნდა დავტოვოთ. თუ გვინდა წავიდეთ წინ და ჩამოვაყალიბოთ პარტიული სისტემა, რაც დღეს არა გვაქვს, საარჩევნო ბლოკის ინსტიტუტი აუცილებლად უნდა გაუქმდეს. ეს არის ძალიან პრინციპული გადაწყვეტილება, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საარჩევნო ბლოკების გაუქმების მიზანშეწონილობაზე საუბრისას კობახიძემ აღნიშნა, რომ დამატებითი პრობლემაა საბიუჯეტო სახსრების მითვისება და საარჩევნო ადმინისტრაციებში კომისიის წევრებისა და წარმომადგენლების მითვისება.

კობახიძე: „სამივე პრეზიდენტმა მოღვაწეობა რევოლუციის საფუძველზე დაამთავრა“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ როგორც საპრეზიდენტო, ასევე ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობაზე უარი უნდა თქვას.

– შეიძლება, ეს მმართველობა ზვიად გამსახურდიას დროს ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ გვართან იმ სისტემას ნუ დავაკავშირებთ. 25 წლის განმავლობაში ამ სისტემამ რა მოიტანა, კარგად გვახსოვს. სამივე პრეზიდენტმა, აქედან ზოგი კარგი იყო, ზოგი ცუდი, თავისი მოღვაწეობა რევოლუციის საფუძველზე დაამთავრა და სამივე შემთხვევაში, ხელისუფლება რევოლუციის საფუძველზე შეიცვალა. ერთხელ და სამუდამოდ, საბოლოოდ, უარი უნდა ვთქვათ როგორც საპრეზიდენტო, ასევე ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობაზე. ორივე სისტემა ძალიან ავტორიტარიზმისა და ავტოკრატიის ჩამოყალიბების სერიოზულ რისკ შეიცავს და ეს სერიოზული პრობლემაა, რომელზეც უარი უნდა ვთქვათ. ყველაზე დემოკრატიულ სისტემაზე – საპარლამენტო მმართველობაზე უნდა გადავიდეთ, რაც არის კულტურა, რომელსაც ევროპული ტრადიციები ჰქვია.

რაც შეეხება კონსტიტუციის ჭრა-კერვას, ამ რეფორმის მიზანია, ისეთი კონსტიტუცია შეიქმნას, რომელსაც გადასინჯვა დიდი ხნის განმავლობაში აღარ დასჭირდება და ეს ასეთი იქნება, – განაცხადა კობახიძემ.

გიორგი მარგველაშვილი: „ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა ერთ სიმღერას ვმღეროდეთ. ეს ჩვენი ბუნების გამრუდება იქნება“

– ღმერთმა დაგვიფაროს, ამ ერთიან საქართველოში მხოლოდ ერთი ადამიანი ან ერთი პოლიტიკური ძალა იყოს მართალი, ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა ერთ სიმღერას ვმღეროდეთ!

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ზუგდიდში, საკონსტიტუციო პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაზე განაცხადა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, არ არსებობს ხელისუფლება, რომელიც ბოლომდე ჩაიგდებს ძალაუფლებას ხელში.

– ასე იყო წინა ხელისუფლების დროს, იმის წინა ხელისუფლების დროს, ყველას ეგონა, რომ სამუდამოდ არის მოსული. არ უნდა დაუპირისპირდე ოპოზიციას, უნდა მიიღო ის ფაქტი, რომ ისიც შენი მოქალაქეა.

ღმერთმა დაგვიფაროს ამ ერთიან საქართველოში მხოლოდ ერთი ადამიანი ან ერთი პოლიტიკური ძალა იყოს მართალი, ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა ერთ სიმღერას ვმღეროდეთ. ეს იქნება ჩვენი ბუნების გამრუდება. არასდროს ყოფილა ქართული სიმღერა ერთხმოვანი, ყოველთვის იყო მრავალხმიანი. ღმერთმა დაგიფაროთ, თქვენ და მე ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ყველას აზრი ერთნაირია. ეს არის დეგრადაცია, ასეთი ქვეყნები, სამწუხაროდ, არსებობს და ასეთ ქვეყანაში ცხოვრება არავის უნდა.

მე ველოდები ისეთ საქართველოს, სადაც გვეყოლება სამი-ოთხი ძლიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც იქნება მუდმივად კამათში, მაგრამ არცერთ მომენტში არ მოუნდება მეორე ძალის განადგურება, ციხეში ჩასმა, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სოსო ოხანაშვილი: „პროკურატურას ჩემს დასაკავებლად მტკიცებულებები არა აქვს“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით წინ ბევრი სკანდალი გველოდება. ეჭვებს ის ფაქტიც აძლიერებს, რომ პროკურატურამ ამ საქმის დახურული რეჟიმში განხილვა მოითხოვა.

„ციანიდის საქმე არის შოუ, რომელიც ჩემთვის, მეუფე დიმიტრისა და მამა გიორგისთვის დაიდგა“

მამა გიორგი მამალაძის მეგობარმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ დეკანოზს დაკავებამდე ემუქრებოდნენ და მისგან რამდენიმე პირის დადანაშაულებას ითხოვდნენ.

დეკანოზს რომ თანამზრახველად რამდენიმე პირის დასახელებას სთხოვდნენ, ეს ინფორმაცია მისმა ადვოკატებმაც დაადასტურეს. მათი თქმით, მამა გიორგისგან ითხოვდნენ, რომ მას ხელი სოსო ოხანაშვილისა და მეუფე დიმიტრისთვის დაედოთ. მეუფე დიმიტრი პატრიარქის ძმისშვილი და სოსო ოხანაშვილის სიმამრია.

დაკავებულის მეგობრის განცხადებით კი, მამა გიორგის თანამზრახველებად მეუფე პეტრეს და სოსო ოხანაშვილის დასახელებას სთხოვდნენ.

სოსო ოხანაშვილი ციანიდის სკანდალამდე პატრიარქის პირადი დაცვის უფროსი იყო. მან ამ თანამდებობაზე რამდენიმე წელი იმუშავა. ციანიდის საქმეზე ის ერთხელ უკვე დაკითხეს. ჩვენების მისაცემად ის ბერლინიდან ჩამოიყვანეს, სადაც პატრიარქს ახლდა თან.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის დააკავეს, მაგრამ სამართალდამცავებმა მალევე გაუშვეს უკან – ბერლინში, საიდანაც პატრიარქთან ერთად დაბრუნდა. სამშობლოში დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში ის სამსახურიდან გაუშვეს.

ოხანაშვილი მზად იყო, პროკურატურისთვის კიდევ ერთხელ მიეცა ჩვენება. მედიასთან საუბარში არ გამორიცხავდა, რომ შეიძლება მისი დაკავება მომხდარიყო. იმ მტკიცებულებებში, რომელიც პროკურატურის ხელთ არის, სოსო ოხანაშვილიც ფიგურირებს.

პროკურატურის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე ამბობს, რომ მამა გიორგი და სოსო ოხანაშვილი ერთ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ და მათი განცხადებები საეჭვო იყო.

ეჭვები და მითქმა-მოთქმა გამოიწვია მეუფე დიმიტრის და პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრამ. შეხვედრა ბათუმში, მეუფის რეზიდენციაში შედგა. შეხვედრის დეტალებზე კომენტარი არ გაკეთებულა. მთავრობის მეთაურმა მხოლოდ ის თქვა, რომ ეპისკოპოსთან აღდგომის მისალოცად მივიდა.

ამ შეხვედრიდან რამდენიმე ხანში ცნობილი გახდა, რომ სოსო ოხანაშვილმა საქართველო დატოვა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი ქვეყნიდან ციანიდის საქმის განხილვამდე ცოტა ხნით ადრე გაემგზავრა.

პროკურატურა თავიდან ამბობდა რომ ის მნიშვნელოვანი მოწმე იყო. მის წასვლას გაგებით მოეკიდა და განაცხადა, რომ ოხანაშვილს ქვეყნის დატოვების სრული უფლება ჰქონდა.

სოსო ოხანაშვილი ამჟამად გერმანიაში იმყოფება. სამშობლოში დაბრუნებას ახლო მომავალში არ აპირებს. ის რჩება იმ აზრზე, რომ ვიღაცებს მისი დაკავება უნდა. საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში ამბობს, რომ მის დასაკავებლად მტკიცებულებები არ არსებობს.

– ყველამ კარგად ვიცით, რაც ხდება. წამოვედი იმიტომ, რომ მაქვს სამსახურებრივი შემოთავაზებები რამდენიმე ქვეყანაში – გერმანიით დავიწყე. 14 წელი სამშობლოს ვემსახურე, რა თქმა უნდა, საქართველოს არაფერი მირჩევნია, მაგრამ ახლო მომავალში არ ვაპირებ დაბრუნებას. ვერც საბოლოოდ გადავიხვეწები, რადგან მიყვარს საქართველო, – განაცხადა ოხანაშვილმა.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი ციანიდის საქმის მთავარი მოწმის ბრალდებებზეც საუბრობს. ირაკლი მამალაძე ვარაუდობს, რომ ოხანაშვილს ამ დანაშაულთან რაღაც კავშირი ჰქონდა.

მისი აზრით, მოწმე მამალაძის ბრალდებებზე საუბარიც კი არ ღირს.

– საზოგადოებამ თავად განსაჯოს, ვინ არის ირაკლი მამალაძე. ეს ისედაც ყველამ კარგად იცის. რაც შეეხება მის ინტერვიუებს, არ ვთვლი საჭიროდ, რომ რამე ვთქვა. ერთი საცოდავი ბიჭია. მე არაფერი მაქვს მასზე სათქმელი. ირაკლი მამალაძემ ბევრჯერ შეცვალა საკუთარი ჩვენებები. მაგას რომ ავყვე, დაუსრულებლად უნდა ვისაუბრო მეც. კიდევ ბევრ სისულელეს იტყვის, დავაცადოთ, – განაცხადა ოხანაშვილმა.

ის აქამდე ამბობდა, რომ ირაკლი მამალაძე სულ ერთხელ ჰყავდა ნანახი. მოწმე კი ამტკიცებს, რომ მათ შორის არაერთხელ შედგა შეხვედრა. მოწმის თქმით, ამაზე აუდიო და ვიდეო-ჩანაწერებიც მეტყველებს.

ერთ-ერთ ინტერვიუში ოხანაშვილმა განაცხადა, რომ ის სასულიერო პირებზე მძიმედ საუბრობს.

როგორც ჩანაწერებიდან ირკვევა, მძიმედ საუბრობს სასულიერო პირებზე მამა გიორგი მამალაძეც. ირაკლი მამალაძე მიიჩნევს, რომ ჩანაწერების გასაჯაროება თუნდაც ამ მიზეზით არ უნდა მოხდეს.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში ოხანაშვილი აუდიოჩანაწერში დაფიქსირებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის საუბარზეც აკეთებს კომენტარს. მისი თქმით, ამ ამორალური საქციელის გამო, ეკლესიას ის უნდა დაესაჯა.

– ბილწსიტყვაობა ამორალურია მამაოს მხრიდან, ეს ეკლესიის მხრიდან უნდა დასჯილიყო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასჯილიყო პატიმრობით, – ამბობს პატრიარქის პირადი დაცვის ყოფილი უფროსი.

ოხანაშვილი არ გამორიცხავს, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეზე განხორციელებული შესაძლო ზეწოლა თანამზრახველების დასახელებასთან დაკავშირებით სიმართლეს შეესაბამება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მამა გიორგი მამალაძე საპყრობილედან გამოგზავნილ წერილში წერდა, რომ პროკურატურა მას სოსო ოხანაშვილისა და მეუფე დიმიტრის დასახელებას სთხოვდა.

– რაც შეეხება მამაოს წერილს – არაფერს გამოვრიცხავ, მამა გიორგი დაკავების შემდეგ არ მინახავს, მასთან შეხვედრის უფლებას მე არც მომცემდნენ, თუმცა მაინც არ გამოვრიცხავ. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა და სახელმწიფო და ეკლესია იქნებოდნენ ამაში ჩართული. იმედი მაქვს, რომ სიმართლე გაირკვევა და ეს შოუ დამთავრდება. ეს განსაცდელია მამაოსთვის, მეუფე დიმიტრისთვის, ჩემთვის და ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც შეეხო ეს საქმე, – ამბობს გერმანიაში გადახვეწილი ოხანაშვილი.

ხათუნა ლაგაზიძე: „კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვა უნიკალური მოვლენაა“

ტრამპი შეეცდება, ერთადერთი მაჩო პრეზიდენტი იყოს

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე „ახალი თაობასთან" ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატებში პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტის მნიშვნელობაზე საუბრობს.

– ქალბატონო ხათუნა, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდამჭერი განცხადებებისა და გადაწყვეტილების შემდეგ, პრეზიდენტი ტრამპი პრემიერ კვირიკაშვილს შეხვდა. როგორ შეაფასებთ?

– გადაუჭარბებლად, ეს არის ძალიან დიდი მნიშვნელობის ფაქტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი საელჩო ლამის იდეალურად მუშაობს. ფაქტიურად შეუძლებელი შეძლო ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენმა საელჩომ. ეს არის რეალური შეფასება და ეს, არ უნდა დავამადლოთ. ამ პროცესს ჩასაფრებულის პოზიციიდან ვერ მიუდგები.

თუ გადავხედავთ, ამ წლის იანვრიდან დღემდე, საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლების რამდენი ვიზიტი შედგა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციასთან, შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველგვარი რეკორდი არის მოხსნილი. ახალი ადმინისტრაციის არჩევიდან ასეთ მოკლე პერიოდში, დამყარებული ურთიერთობა შედეგობრივადაც მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, ტრამპის ადმინისტრაცია სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოთი. ეს არის ის შანსი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს. ტრამპი ძალიან არაორდინალური მმართველია და შეიძლება სრულიად ახალი შანსები გაუჩნდეს საქართველოს. ტრამპმა, ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე თქვა, რომ ის კლიშეებით არ აზროვნებს და ამ კლიშეებით არ უდგება მსოფლიო პოლიტიკას. მან ფაქტიურად თქვა, რომ ის არის სუფთა დაფა და მზად არის შეთავაზებებისთვის. თუ ის დაინახავს ნებისმიერ ორმხრივ ურთიერთობაში გარკვეულ მოგებას თავისი ქვეყნისთვის, ის ამ ურთიერთობაზე წავა. დღეს საქართველოს ხელისუფლების მთავარი მოვალეობა არის, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები სწორედ მომგებიანი რაკურსით დაანახოს. ვფიქრობ, ამ ურთიერთობებისთვის დღეს ძალიან ნოყიერი ნიადაგია შექმნილი.

ტრამპი ყველანაირად შეეცდება, რომ ერთადერთი მაჩო პრეზიდენტი იყოს მსოფლიო პოლიტიკის რუკაზე, შესაბამისად შეეცდება, რაც შეიძლება შეავიწროოს პუტინის მოქმედებისა და გავლენის სფეროები. როგორც ჩანს, სწორედ ამ პროცესს ვაკვირდებით.

– ამით არის ნაკარნახევი საქართველოსადმი ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ინტერესი?

– დიახ. თუმცა, ეს პირდაპირ ბმაშია იმ პროცესთან, რასაც საქართველოს დემოკრატიული განვითარება ჰქვია. თუმცა, ამ ეტაპზე, ტრამპი სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ღიად არ ჩაერევა.

– ფიქრობთ, რომ პრემიერ-მინისტრი თეთრი სახლიდან გარკვეულ მესიჯებს ჩამოიტანს სწორედ შიდა პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით? გარკვეულ ნაბიჯებს უნდა ველოდოთ ამ მიმართულებით ქვეყნის შიგნით?

– სწორად დანახულია რაკურსია, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში ნაკლები ყურადღება მიექცევა უშუალოდ დემოკრატიის განვითარებას ქვეყნის შიგნით. აქცენტები ალბათ უფრო სხვა რამეზე გაკეთდება. როგორც ჩანს, ტრამპისა და კვირიკაშვილის შეხვედრა მოკლევადიანი იყო, მაგრამ ეს არ აკნინებს ამ შეხვედრის მნიშვნელობას. სამწუხაროდ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ტრამპისთვის მისაღები იყოს ნაკლებად დემოკრატიული საქართველოც იმ პირობით, თუ საქართველო ამერიკის ინტერესებში იქნება. შიდა დემოკრატიზაციის მიმართ ტრამპის ადმინისტრაცია ძალიან მომთხოვნი არ იქნება. ტრამპი მიიღებს დემოკრატიის იმ დოზას, რა დოზასაც ქართველი ხალხი დასჯერდება. ამიტომ, დემოკრატიზაციის პროცესი მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული. ამ სტანდარტის მიმართ გაცილებით უფრო მომთხოვნი, ცხადია, ევროკავშირი და ნატო იქნება.

ქართველ საზოგადოებას მმართველობის, დემოკრატიის ის ხარისხი ექნება ამ წლების განმავლობაში, რა ხარისხსაც ის მოსთხოვს თავის ხელისუფლებას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამერიკას, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს სახით სტაბილური პარტნიორი სჭირდება, სტაბილურობა კი ნიშნავს ქვეყნის შიგნით სტაბილურობას. თუკი ტრამპის ადმინისტრაცია დაინახავს, რომ ნაკლები დემოკრატია არის შიდა დესტაბილიზაციის, შიდა ეკონომიკური თუ პოლიტიკური დესტაბილიზაციის საწინდარი და ეს ყველაფერი რეგიონში ამერიკის ინტერესებს დაემუქრება, რა თქმა უნდა, მაშინ ბევრად უფრო მომთხოვნი იქნება. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, ქართველი საზოგადოება ფხიზლად იყოს იმ პროცესების მიმართ, რომელიც დღეს ან ხვალ განვითარდება ქართულ პოლიტიკაში. ვნახოთ, რა შედეგებს მოიტანს საკონსტიტუციო ცვლილებები.

– კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვებში პრეზიდენტიც მონაწილეობს. მარგველაშვილის ჩართვა პროცესში რა კორექტივებს შეიტანს? რა შთაბეჭდილებას ტოვებს ეს განხილვები თქვენზე, ხელისუფლება აპირებს სადავო ნორმების დათმობას?

– ამ პროცესში მონაწილე ორივე მხარე, ერთი მხრივ პარლამენტი და მეორე მხრივ პრეზიდენტის ინსტიტუტი, კონსენსუსზე წავიდნენ, რაც ორივე მხარის გამარჯვების ტოლფასია. პრეზიდენტმაც და პარლამენტის თავმჯდომარემაც საღი აზრით იხელმძღვანელეს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი შეურაცხმყოფელი შეფასებები იყო საკონსტიტუციო პროექტის შექმნის პროცესში, ალბათ, უფრო მეტად პრეზიდენტის მისამართით მიღებული გადაწყვეტილება, მაინც ამ ყველაფერზე მაღლა დგას და ეს უდავოდ არის საღი აზრის გამარჯვება. ძალიან საინტერესო სანახავია საერთო-სახალხო განხილვები ყველა მხარის ჩართულობით, რაც ნამდვილად არის უნიკალური მოვლენა ჩვენი ქვეყნის ბოლო 25-წლიან ისტორიაში, რაც ნამდვილად აკმაყოფილებს დემოკრატიის სტანდარტებს, თუ არ ჩავთვლით განხილვებზე მიწვეულთა იმ კატეგორიას, რომელიც ამ შეხვედრებს ესწრება ხოლმე. ძირითადად ეს არის პარტიული და ბიუროკრატიული აქტივი. სასურველი იქნებოდა, თუ ამ განხილვებს უფრო მეტად რეალური სახე ექნებოდა და ყველა მსურველს დაიტევდა დარბაზი. თუმცა, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პროვოკაციების ალბათობა ძალიან მაღალი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღვნიშნო, რომ 25 წლის მანძილზე კონსტიტუციაში არაერთი ცვლილება შეტანილა, მაგრამ მსგავსი განხილვების მოწმენი არ ვყოფილვართ. ამ შეფასებას ვაკეთებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ჩაერთო განხილვებში, მანამდე ეს იყო ერთიანი პოლიფონია დამხვედრთა და ჩამოსულ სტუმართა შესრულებით.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, რამდენად აისახება ეს ყველაფერი კონსტიტუციაზე და წავა თუ არა ხელისუფლება დათმობაზე, სიმართლე გითხრათ, ამის მოლოდინი ნაკლებად მაქვს. პარლამენტის თავმჯდომარემ არაერთგზის განაცხადა, რომ ისინი ვენეციის კომისიის დასკვნებს გაითვალისწინებენ. თუ რამე ცვლილებას განახორციელებს მმართველი გუნდი, ეს მხოლოდ ვენეციის კომისიის დასკვნის შედეგად იქნება გამოწვეული. თავისთავად, როდესაც ასეთი მიდგომა აქვს ხელისუფლებას, მა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მამუკა გვაძაბია: „ასლან აბაშიძე და ლუჟკოვი ბიზნესპარტნიორები არიან“

„ლუჟკოვის ჩამოსვლა, ბაიკერების ჩამოსვლა, ასლან აბაშიძისადმი დანაშაულის მოხსნა მოვლენების ერთი ჯაჭვია“

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი და აფხაზეთიდან დევნილი მამუკა გვაძაბია აღშფოთებულია მოსკოვის ყოფილი მერის საქართველოში ჩამოსვლით და ლუჟკოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს მის მიერ გაჯეთებული განცხადებების გამო.

– მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი სომხეთიდან საქართველოში ჩამოფრინდა და აცხადებს, რომ საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე უფრო კარგად იქნება. ყოველგვარი ემოციის გარეშე, აღშფოთებული ვარ.

მოსკოვის ყოფილი მერი არის პიროვნება, რომელმაც დაარღვია საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ. ის ომის დამთავრების შემდეგ აფხაზეთში ორჯერ იმყოფებოდა. აფხაზეთში ლუჟკოვს ოდიოზური ვარსკვლავები ახლდნენ, რომლებმაც სოხუმში ქართველთა საფლავებს შეურაცხყოფა მიაყენეს. იმ ვოიაჟის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ლუჟკოვი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავმოყვარეობის საკითხიც არის. თავმოყვარე ხელისუფლებამ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრას, – აცხადებს მამუკა გვაძაბია.

– ლუჟკოვმა და მისმა თანმხლებმა რუსმა ვარსკვლავებმა სოხუმში ქართველთა საფლავებს შეურაცხყოფა როგორ მიაყენეს? შეურაცხყოფა რით გამოიხატა?

– 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც ლუჟკოვი თავის თანმხლებ პირებთან ერთად აფხაზეთში ვოიაჟობდა, დელეგაციის შემადგენლობაში გაზმანოვიც იყო, რომელმაც ქართველთა საფლავებს შეურაცხყოფა მიაყენა. ამაზე მეტად დაწვრილმანება არ მინდა. კობზონთან და სხვა პირებთან ერთად, ამის მონაწილე იყო ლუჟკოვიც.

სამწუხაროდ, ჩემი ცხოვრების ნაწილია ის, რომ გარკვეული წლების განმავლობაში ვიცხოვრე მოსკოვში. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც მოსკოვის მერი ლუჟკოვი იყო. იმ დროს ლუჟკოვი ძალიან გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა გახლდათ რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო აფხაზეთიდან დევნილი ქართველებისადმი მის მიერ გამოხატული სიძულვილისა და შევიწროების პოლიტიკა. პირადად მეც შემეხო და არაერთი პიროვნებაც არის მომსწრე იმ ფაქტებისა, თუ როგორ ავიწროებდნენ აფხაზეთიდან დევნილ ქართველებს ლუჟკოვის მითითებებით მოქმედი მოსკოვის სამართალდამცავი ორგანოები.

– მოსკოვში თქვენ რა სახით შეგეხოთ შევიწროება?

– არ მინდა, ჩემს ემოციებსა და გამოცდილებაზე გავამახვილო ყურადღება. ყველანაირი ფორმით ხდებოდა აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის შევიწროება, განსაკუთრებით ლუჟკოვის მერობის პერიოდში. უბრალოდ, სირცხვილია, ასეთი პიროვნება თავისუფლად რომ შემოდიოდეს საქართველოში. ვიღაცამ, შეიძლება, თავისი ემოცია ვერ დაიოკოს და ისეთი რამ მოხდეს, რაც არასასურველი იქნება ქვეყნისთვის. მე, პირადად, სადმე რომ გადამეყაროს, არ ვიცი, მის წინააღმდეგ რას მოვიმოქმედებ, რადგან ის არის დამნაშავე. კაცი იძლევა ინტერვიუს და აცხადებს, კარგია, აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს ჩამოსცილდეს, საქართველო ამ ტერიტორიების გარეშე თავს უკეთესად იგრძნობსო. ასეთი ადამიანი საქართველოში რომ გადაადგილდება, ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის ბრალია.

– რამდენის უფლებას აძლევს თავის თავს.

– დადის ახლა ასეთი ადამიანი საქართველოს ეკლესიებში და დიდ მართლმადიდებლად მოაქვს თავი.

– ამ განცხადების შემდეგ ლუჟკოვი უნდა გაეძევებინათ საქართველოდან.

– ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ის უნდა დაებარებინათ სამართალდამცავ სტრუქტურებში, უნდა გადაეხდევინებინათ ჯარიმა და გაეძევებინათ საქართველოს ტერიტორიიდან. ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იმართლებენ, პასპორტში არ იყო აღნიშნული, ოკუპირებულ ტერიტორიაზე რომ იმყოფებოდაო. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ლუჟკოვი აქეზებდა და აფინანსებდა სეპარატიზმს და, საერთოდ, ულტრანაციონალიზმს. რა დიდი ამბავია ამის გამოკვლევა და შეფასების მიცემა, რაც უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ.

– ლუჟკოვის ჩამოსვლა და აქ იმგვარი განცხადება, რომ თურმე საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე თავს უკეთესად იგრძნობს, პროვოკაცია არ არის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ?

– ნამდვილად პროვოკაციაა. ლუჟკოვის ჩამოსვლა, ე.წ. ბაიკერების ჩამოსვლის დაგეგმვა (რამდენიმე მაინც ჩამოვიდა), ბათუმის სასამართლოს მიერ ასლან აბაშიძისადმი, ფაქტობრივად, დანაშაულის მოხსნა, მოვლენების ერთი ჯაჭვია.

– რატომ გგონიათ ასე?

– ცნობილი ფაქტია, რომ ასლან აბაშიძე და ლუჟკოვი ახლო მეგობრები და ბიზნესპარტნიორები არიან. მათ მოსკოვშიც აქვთ საერთო ბიზნესი. ამიტომ მიდის ასლან აბაშიძისთვის დანაშაულის ჩამორეცხვის მცდელობა, რაშიც მოსკოვი მონაწილეობს. ამიტომ მოსკოვიდან დესანტია გამოგზავნილი. ამაში ეჭვიც არ მეპარება. უბრალოდ, სირცხვილია. ის არის ასლან აბაშიძის, კობზონის ძმაკაცი. ეროვნული მოძრაობის ლიდერი ნოდარ იმნაძე აბაშიძის ხელით მოკვდა. ახლა, ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილებით, თითქოს აბაშიძის დანაშაული არ იკვეთება და ის თავს იცავდა. თურმე ზურგში 18 ტყვიის დახლა თავდაცვა ყოფილა.

ლუჟკოვი არის პიროვნება, რომელიც დადიოდა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში, სეპარატისტებს იარაღით ეხმარებოდა, ჩოლოქთან ჯებირებს აღმართავდა, მათი ძმაკაცია. ახლა დადის საქართველოს ეკლესიებში. მე რომ მკითხოთ, ასეთი ადამიანი ეკლესიიდან უნდა გააგდო.

– მღვდელს უნდა გაეგდო?

– დიახ.

– საინტერესოა, სომხეთში რა მიზნით იმყოფებოდა?

– რუსეთი სომხეთის სტრატეგიული პარტნიორია, ერთ სამხედრო კავშირში არიან, თბილი ურთიერთობები აქვთ. სომხეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა და მასთან ექნება ურთიერთობა, ვისთანაც უნდა, მაგრამ საქართველოში მას არაფერი ესაქმება. საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა, ჩამოვიდა აქ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებს. ხმის ამოღებაა საჭირო.



დარწმუნებული ვარ, ლუჟკოვი საქართველოში სიკეთისთვის არ ჩამოსულა. ის არის საქართველოს დაუძინებელი მტერი. მე ვიცი, როგორი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს მიმართ ლუჟკოვებს, კობზონებსა და მათნაირებს. მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს, დაიცვან კანონმდებლობა და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები. ამ კანონის შეუსრულებლობა საკუთარ ღირსებაზე უარის თქმაა. თუ ქვეყანას ღირსება არ გააჩნია, ის ნორმალურ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება. ლუჟკოვს სურს სეპარატისტული მოძრაობების სტიმულირება საქართველოში. თავმოყვარე ხელისუფლებამ და სახელმწიფომ პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს და ღირსება არ უნდა დაკარგოს. ლუჟკოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

– სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს უნდა აღძრულიყო, როცა ლუჟკოვი ჩავიდა სოხუმში, აქეზებდა სეპარატისტებს და ქართველების საფლავებს შეურაცხყოფდა.

– მაშინაც უნდა აღძრულიყო და ახლაც ეს გასაკეთებელია.

– თავის დროზე ეს რომ გაეკეთებინათ და შს ორგანოებს ბაზაში ჰქონოდათ ლუჟკოვის საქართველოს კანონთან პრობლემების თაობაზე ინფორმაცია, ალბათ, ასე ადგილად ვერ შემოაღწევდა.

– გასაგებია, მაგრამ ახლა დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს და მის მიმართ აამოქმედოს კანონი.

ზაზა ხუციშვილი: „ახლა ლუჟკოვის დაკავება სწორი არ იქნებოდა“

– ახლა ლუჟკოვის დაკავება არ იქნებოდა სწორი, მით უმეტეს, მას პასპორტში არანაირი ჩანაწერი არ ჰქონდა, რომ ის ნამყოფია აფხაზეთში.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ზაზა ხუციშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის საქართველოში ვიზიტს გამოეხმაურა.

ზაზა ხუციშვილი მიიჩნევს, რომ მომავალში, თუკი ლუჟკოვი შეეცდება საქართველოში შემოსვლას, ის არ უნდა შემოუშვან.

– პრემიერის ვიზიტი ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტთან ძალიან დიდი სიურპრიზით და სასიამოვნო შეხვედრით დამთავრდა ტრამპთან. ამ ოდიოზური კაცის ვიზიტმა, რომელიც კერძო ვიზიტით ჩამოვიდა და არცერთი ოფიციალური პირი არ დახვედრია, ეს გადაფარა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მაგალითად, ჟერარ დეპარდიე რომ საქართველოში რომელიმე ფესტივალზე ჩამოვიდეს, უნდა დავიჭიროთ. მე ვთვლი, რომ მომავალში თუკი ლუჟკოვი შეეცდება საქართველოში შემოსვლას, ის არ უნდა შემოუშვან. ახლა მისი დაკავება არ იქნებოდა სწორი. მითუმეტეს, მას პასპორტში არანაირი ჩანაწერი არ ჰქონდა, რომ ის ნამყოფია აფხაზეთში. ცოტა ისე შევხედოთ, გასაგებია, რომ გააკეთა განცხადება, რომელიც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, რომელ კანონს ემორჩილება რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში რომ ლუჟკოვმა ჩვენი რომელიმე კანონი დაიცვას, – განაცხადა ზაზა ხუციშვილმა.

რაც შეეხება „ღამის მგლების“ ყოფნას საქართველოში, ზაზა ხუციშვილის თქმით, გააჩნია, კონკრეტული ადამიანი მხილებულია თუ არა რაიმე დანაშაულში.

მისივე შეფასებით, სამართლებრივად, ადამიანი, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობას აღნიშნავს, ამის გამო, მისი დაკავება სწორად არ მიაჩნია.

ნიკა მელია იური ლუჟკოვის ვიზიტზე — კანონი დაირღვა

– კანონი დაირღვა და სახელმწიფოში არ აღმოჩნდა პასუხისმგებლობის მქონე არც ერთი ინსტიტუცია, რომელიც აღასრულებდა კანონს.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა ნიკა მელიამ მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის საქართველოში ვიზიტის კომენტირებისას განაცხადა.

– ეს არის ის შემთხვევა, როდესაც კანონი დაირღვა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და სახელმწიფოში არ აღმოჩნდა პასუხისმგებლობის მქონე არც ერთი ინსტიტუცია, რომელიც რეალურად აღასრულებდა კანონს. ეს არის ძალიან სამწუხარო, – განაცხადა მელიამ.

მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვისა და მისი მეუღლის საქართველოში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია და ფოტომასალა თავდაპირველად სქემარქიმანდრიტმა სერაფიმ ბით ხარიბმა გაავრცელა.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ: ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან; ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) – გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან. ყველა სხვა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის აკრძალულია და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 2009 წელს იმყოფებოდა, რასაც საქართველოს საგარეო სამინისტროს პროტესტი მოჰყვა.

დავით ბაქრაძე: „ლუჟკოვი საქართველოში სასურველი სტუმარი ვერ იქნება“

„ევროპული საქართველოს“ ლიდერი დავით ბაქრაძე მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.

ბაქრაძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტის გამო ოკუპაციის კანონთან ერთად მორალური და პოლიტიკური კრიტერიუმებიც დაირღვა:

– ლუჟკოვი არის ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა ცხინვალში ქართულ სოფლების ნანგრევებზე რუსული სამხედრო ქალაქების გაშენებას. ადამიანი, რომელიც ბოლო წუთამდე გვერდზე ედგა ასლან აბაშიძეს, ამიტომ ასეთი ადამიანი საქართველოში სასურველი სტუმარი ვერ იქნება, – აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

ხათუნა ლაგაზიძე: „კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვა უნიკალური მოვლენაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შინ საერთო-სახალხო განხილვების არსი ცოტათი ილახება. როდესაც, ხელისუფლება წინასწარი განწყობით მართავს ასეთ განხილვებს, როდესაც უკვე ცნობილია, რომ მაინც არაფერს არ შეცვლის ხელისუფლება, რა შენიშვნაც არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებას, ეს მიდგომა თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

– რაზე მეტყველებს?

– იმაზე, რომ ფორმალური სახე აქვს. ცოტა მეტი ჭკუა და მახვილგონიერება რომ ეხმარათ, სხვანაირი რიტორიკა ექნებოდათ. ამ რიტორიკის თანახმად, მმართველი პარტია მზად არის, მხოლოდ ვენეციის კომისიის შენიშვნები გაითვალისწინოს. არსად არ ყოფილა ნათქვამი, რომ მიმდინარე საერთო-სახალხო განხილვის შედეგად გამოთქმულ შენიშვნებს გაითვალისწინებენ. აქედანაც ჩანს, რომ ამ შეხვედრების მიმართ მხოლოდ ფორმალური დამოკიდებულება იყო.

– როგორ ფიქრობთ, რატომ წავიდა კომპრომისზე პრეზიდენტი, არის მოსაზრება, რომ მარგველაშვილი მეორე ვადისთვის ემზადება და მას ხელისუფლების მხარდაჭერა სჭირდება. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– რეალურად რომ შევხედოთ შექმნილ სიტუაციას, ამ შემთხვევაში პრეზიდენტს სხვა სვლა არც ჰქონდა. მისი სვლები მაქსიმალურად შეზღუდული იყო, თავის მოსახლეობას ხომ არ გაებუტებოდა. იმ შეხვედრებზე პარტიული აქტივისტები არიან თუ სახელმწიფო მოხელეები, მაინც ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან და ამიტომ არანაირი არგუმენტი პრეზიდენტის უარს ვერ გაამყარებდა. ამდენად, მარგველაშვილის ეს ნაბიჯი კომპრომისი არ მგონია იყოს, ეს უფრო საღი აზრით ნაკარნახევი გადაწყვეტილებაა. ხელისუფლებამ საკუთარ საპრეზიდენტო კანდიდატად კვლავ მარგველაშვილი წარადგინოს, ეს სრულიად წარმოუდგენელი მგონია. მაშინ გამოდის, რომ ამ დაპირისპირების როგორც ერთი მხარე, ისე მეორე მხარე, საკუთარ საზოგადოებას მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალებში ნაცარს აყრიდა.

მარიამ მჭედლიშვილი

კიდევ რას მოიმოქმედებს რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ?

კრემლი პოზიციებს სირიაშიც კარგავს

აშშ-ისა და ევროპის საბჭოს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი ამ დღეებში გამოჩენილმა უპრეცედენტო მხარდაჭერამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გააღიზიანა რუსეთი.

ამის საპასუხოდ კრემლმა თავისი საგარეო უწყების, აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმისა თუ საქართველოში ჩამოსული მოსკოვის ყოფილი მერის, ლუჟკოვის პირით დაიწყო იმის მტკიცება, თითქოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი სახელმწიფოებია და მათზე თბილისს პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ შესუსტებული რუსეთი საქართველოს მიმართ სხვადასხვა ხრიკს გამოიყენებს და გააგრძელებს ჰიბრიდულ ომს.

მოსკოვმა დარტყმები მიიღო სხვა ფრონტებზეც – საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა არა პუტინის მოკავშირე და ევროკავშირის დაშლის მომხრე მარინ ლე პენი, არამედ მისი ანტიპოდი ემანუელ მაკრონი. დასავლელი ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ის ხელს შეუწყობს ევროკავშირის შენარჩუნებასა და გაძლიერებას. მაკრონის მმართველობისას საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობები იმაზე მეტად გართულდება, ვიდრე ოლანდის დროს. მაკრონი წინასაარჩევნოდ ტრამპსაც აკრიტიკებდა. მიუხედავად ამისა, მაკრონი თეთრ სახლთან ითანამშრომლებს.

გერმანული მედიის შეფასებით, ინტერნაციონალისტი მაკრონი მზადაა, შეეჯახოს ორ ნაციონალისტს – პუტინსა და ტრამპს.

ვაშინგტონი-მოსკოვის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია, თუმცა, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა ტრამპი-პუტინის შეხვედრა. არ არის გამორიცხული, რომ ის 7-8 ივლისს ჰამბურგში გაიმართოს ოცეულის სამიტის მიმდინარეობისას. ამ შეხვედრას უნდობლად უყურებენ ტრამპის ოპონენტები. ისინი ისევ არ გამორიცხავენ გარიგებას ორ ლიდერს შორის.

აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რა უნდა იყოს აშშ-ის კოზირი ამ შეხვედრის დროს. მისი აზრით, ესაა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ძლევამოსილება.

– აშშ-მა უნდა აღადგინოს რუსეთის შეკავების ეს ინსტრუმენტი და აუცილებლობის შემთხვევაში დაიცვას თავისი მოკავშირეები აღმოსავლეთ ევროპაში, – აღნიშნა კონდოლიზა რაისმა.

ითვლება, რომ რუსეთმა თავისი პოზიციები გაიმყარა მას შემდეგ, რაც სირიის კრიზისში ჩაერია.

აპრილის დასაწყისში სიტუაცია სირიაში შეიცვალა. არაბეთის გაერთიანებული საემიროების მედიის შეფასებით, რუსეთს მანამდეც შეეძლო სირიაში სერიოზული გარდატეხა მოეხდინა, მაგრამ მან თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენა რამდენიმე შესაძლებლობა ბოლო 4 თვის განმავლობაში და ვერ შეცვალა ძალთა ბალანსი.

შანსი პირველი – ალეპოში გამარჯვების შემდეგ რუსეთის ძალისხმევით ასტანაში გაიმართა მოლაპარაკებები სირიის საკითხზე, მაგრამ რუსეთმა ამით ვერაფერს მიაღწია.

შანსი მეორე – სირიის ქალაქ ხან შეიხუნზე განხორციელებული ქიმიური შეტევის შემდეგ რუსეთს შეეძლო სერიოზული, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი გადაწყვეტილებები მიეღო, მაგრამ მან ასადის დაცვა გააგრძელა.

შანსი მესამე – 12 აპრილს მოსკოვში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა გამართა მოლაპარაკებები. რუსეთს შეეძლო, იქ საფუძველი ჩაეყარა ახალი მსოფლიო წესრიგისათვის – უარი ეთქვა ირანთან და ასადთან მოკავშირეობაზე და დაეწყო სტრატეგიული თანამშრომლობა აშშ-სთან. რუსეთმა ეს არ გააკეთა.

არაბული პრესის აზრით, მოსკოვს ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა, დაიწყოს თანამშრომლობა ვაშინგტონთან.

ამერიკასა და რუსეთს შორის ერთ-ერთი სადავო თემაა რუსეთის ჩარევა აშშ-ის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში. არსებული ინფორმაციით, რუსეთის ჰაკერებმა წინასაარჩევნოდ გატეხეს დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის სერვერი, რამაც გამოიწვია ჰილარი კლინტონის მარცხი.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამართველოს ყოფილი ხელმძღვანელი ჯეიმს კლეპერი აცხადებს, რომ რუსეთის სადაზვერვო სამსახურები 2015 წელსაც და 2016 წელსაც ცდილობდნენ აშშ-ის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას, არჩევნებში ჩარევა მათი საქმიანობის უმაღლესი წერტილი იყო.

მისი თქმით, წარმატების შემდეგ მოსკოვი გააგრძელებს ამერიკული დემოკრატიული სისტემის ნგრევას და საარჩევნო პროცესებში ჩარევას მთელ მსოფლიოში.

„ოცნება“ კალაძესა და ნარმანიას შორის არჩევანს ისევ ვერ აკეთებს

შორენა მარსაგიშვილი

„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ „ქართულ ოცნებაში“ თბილისის მერობის კანდიდატთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უჭირთ. დაახლოებით ერთი თვის წინ „ოცნებაში“ ჩატარდა შიდა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც კალაძე რეიტინგით ოდნავ უსწრებდა დავით ნარმანიას.

როგორც სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, ამის გამო გადაწყვიტეს, რომ მერობის კანდიდატი ისევ დავით ნარმანია ყოფილიყო. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ნარმანიამ თავად განაცხადა, რომ მერობის კანდიდატი ის იქნებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ნარმანიას კანდიდატურას უჭერს მხარს ბიძინა ივანიშვილიც. სახელისუფლებო გუნდში ამბობენ, რომ ეს ამბავი ძალიან არ მოეწონა კახა კალაძეს. ყველასთვის ცნობილია, რომ ვიცეპრემიერს თითქმის დაწყებული ჰქონდა საარჩევნო კამპანია და თბილისის საკრებულოში შესაყვანი ხალხიც კი შერჩეული ჰყავდა.

ამ შრომას ამბიციებთან ერთად ის, ბუნებრივია, წყალს არ გაატანდა და, როგორც სახელისუფლებო გუნდში ამბობენ, მან მერობასთან დაკავშირებით პრეტენზიები კიდევ ერთხელ გამოთქვა.

სააგენტო თაიმერის ცნობით, ახლახან კიდევ ჩატარდა შიდაპარტიული კვლევა, სადაც გამოჩნდა, რომ კალაძე სერიოზულად უსწრებს ნარმანიას.

ეს ინფორმაცია „ოცნებაში“ „ახალ თაობასაც“ დაუდასტურეს. სახელისუფლებო გუნდში გვითხრეს, რომ კალაძის მომხრეების დაჟინებული მოთხოვნით კიდევ ერთხელ ჩატარდა შიდა გამოკითხვა. ამ გამოკითხვაში მოქმედ მერს ძალიან მცირე ხმები დაუგროვებია.

შიდა გამოკითხვის შედეგები სასწრაფო წესით წაუღეს თურმე გიორგი კვირიკაშვილს, რომელიც, ივანიშვილის მსგავსად, თურმე ნარმანიას ლობირებს.

საბოლოო გადაწყვეტილებას ახლა ბიძინა ივანიშვილისგან ელოდებიან, რომელიც არ ჩქარობს და ელოდება, რას ჩამოიტანს პრემიერი ამერიკიდან.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ნარმანიას გუნდი კალაძის მამხილებელი მასალების მიტანას ბიძინა ივანიშვილთან აპირებს.

...

„ქართული ოცნების“ კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ, შესაძლოა, კალაძეს პრემიერობაზეც კი გაუჩნდეს პრეტენზია. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კვირიკაშვილს შეცვლიან.

კალაძის გარდა, პრემიერობაზე პრეტენზიები დიმიტრი ქუმსიშვილსაც აქვს, რომელიც ცოტა ხნის წინ ამერიკაში იმყოფებოდა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ საპრემიერო ამბიციების გამო ვიცეპრემიერებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა. ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ ისიც გვითხრა, რომ კალაძის წინააღმდეგ რამდენიმე კომპრომატის გამოქვეყნება იგეგმებოდა. ერთ-ერთი მათგანი გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულება უნდა ყოფილიყო.

ამ ხელშეკრულებას ხელს კალაძე აწერს და მას დღემდე გრიფით საიდუმლო ადევს.

ეს ინფორმაცია ხელისუფლებას არ უარუყვია, მეტიც, ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ გვაცნობა, რომ კალაძის გუნდი ქუმსიშვილზე გეგმავდა კომპრომატის გამოქვეყნებას.

მისი თქმით, საუბარია იმ უსიამოვნებაზე, რომელიც ქუმსიშვილს ერთ-ერთ ბიზნესმენთან მოუვიდა. ამ ინციდენტის შესახებ, როგორც გვითხრეს, ბიძინა ივანიშვილმაც იცის.

ტყიბულში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა

ტყიბულის მინდელის მაღაროში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემთხვევის ადგილზე მყოფმა მაღაროელმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, ოთხი მაღაროელი მაღაროს ჩამონგრევის შედეგად დაიღუპა.

საქართველოში ორი მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა

გუშინ, 9 მაისს, საქართველოში ორი მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა. 10:32 საათზე მომხდარი 3,1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის შემდეგ, რომლის ეპიცენტრი ქალაქ დმანისიდან დასავლეთით, სოფელ ფოკადან 8 კილომეტრში იყო, განმეორებითი ბიძგები 15:07 საათზე დაფიქსირდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ამჯერად ქალაქ დმანისის დასავლეთით, სოფელ საღუთლოდან 12 კმ-ში იყო. მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 3,6 მაგნიტუდა შეადგინა.

„ეს ყველაფერი თეატრს ჰგავს და პოლიტიკოსები კარგად თამაშობენ“

ნაციონალური მოძრაობის წევრმა მაია კალანდიამ ზუგდიდში საკონსტიტუციო პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა პროტესტის ნიშნად დატოვა.

მისი თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებების რეალური მიზანი ბიძინა ივანიშვილის სამუდამოდ ხელისუფლებაში ყოფნაა.

– ეს ყველაფერი ჰგავს თეატრს და პოლიტიკოსები კარგად თამაშობენ თავის როლს. ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ ბიძინა ივანიშვილი სამუდამოდ დარჩეს ხელისუფლებაში და სამუდამოდ ჰყავდეს უმრავლესობა, – განაცხადა მაია კალანდიამ.

ეკა ბესელია: „მახსოვს პერიოდი, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებს ერთ კვირაში სამი მოსმენით იღებდით“

– მე მახსოვს პერიოდი, როდესაც ერთ კვირაში სამი მოსმენით იღებდით ცვლილებებს საქართველოს კონსტიტუციაში.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ეკა ბესელიამ ზუგდიდში, საკონსტიტუციო პროექტის საყოველთაო განხილვის დროს შემაჯამებელი სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც ეკა ბესელიამ აღნიშნა, დღეს ქართველი საზოგადოება პოლიტიკურად გაზრდილია, რაც მისასალმებელია.

ეკა ბესელიამ „ევროპული საქართველოს“ დეპუტატი ლელა ქებურიაც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის განხილვები წინა ხელისუფლების დროს არ ხდებოდა.

– მე მინდა, ჩვენს კოლეგებს ოპოზიციიდან, ქალბატონ ლელა ქებურიას ვუთხრა, რომ კარგად გვახსოვს ის დროს, როდესაც ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო წინა ხელისუფლების დროს.

მე მახსოვს პერიოდი, როდესაც ერთ კვირაში სამი მოსმენით იღებდით ცვლილებებს საქართველოს კონსტიტუციაში. იმას ვაპროტესტებდით, თუმცა მაშინ თქვენი ხმა არ მესმოდა, რომ ეს იყო უსულგულო ვერაგული დამოკიდებულება კონსტიტუციის მიმართ. ჩვენ დღეს მათთან ერთად ვსაუბრობთ, რადგან გავიზარდეთ პოლიტიკურად. მე მივესალმები ამ დისკუსიას და ბევრი საინტერესო მოსაზრება მოვისმინე, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

შარმანაშვილი ანა დოლიძის წინააღმდეგ

კონსტიტუციის ახალი პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვაზე, რომელიც ზუგდიდში მიმდინარეობს, თენგიზ შარმანაშვილის სიტყვით გამოსვლას კამათი მოჰყვა. შარმანაშვილს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე დაუპირისპირდა.

კამათი პრეზიდენტის ახალი კონსტიტუციის მიხედვით განსაზღვრულ უფლებამოსილებებზე საუბარს მოჰყვა. შარმანაშვილმა განაცხადა, რომ არც მოქმედი და არც ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი ვერანაირ უფლებამოსილებას ვერ ახორციელებს.

დოლიძემ დეპუტატი კონსტიტუციური უფლებების იგნორირებაში დაადანაშაულა.

ჯორჯიან ეირვეისი უცხოურ ავიაკომპანიებს დემპინგში ადანაშაულებს

ჯორჯიან ეირვეისი უცხოურ ავიაკომპანიებს ქართულ ავიაბაზარზე დემპინგური ფასებით ოპერირებაში ადანაშაულებს.

როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი „საქმის კურსთან“ აცხადებს, უცხოური ავიაკომპანიები მათი ქვეყნების მთავრობების პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსებით ახერხებენ ქართულ ბაზარზე დემპინგური ფასებით ოპერირებას და ქართულ კომპანიას მუდმივად უხდება მუშაობა არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში.

მისი განმარტებით, საკუთარ სახელმწიფოში ამ კომპანიების ტარიფები 3-4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ჯორჯიან ეირვეისის შემთხვევაში. შესაბამისად, თუ მათ საქართველოს ხელისუფლებისგან ანალოგიური მხარდაჭერა არ ექნებათ, თანაბარ კონკურენტულ პირობებში ოპერირებას ვერ შეძლებენ.

– საკუთარ სახელმწიფოში რუსულ ავიაკომპანიებს აქვს სამჯერ, ზოგიერთ შემთხვევაში ოთხჯერ დაბალი ნავიგაციის ტარიფები, აეროპორტების ტარიფები, ვიდრე ქართულ ავიაკომპანიას. ეს იმის წინაპირობაა, რომ დემპინგური ფასებით განახორციელონ ოპერირება და მათი შესრულებული რეისის თვითღირებულება ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ჯორჯიან ეირვეისის მიერ შესრულებული რეისის თვითღირებულება.

საქმე გვაქვს იმასთან, რომ არ შეგვიძლია თვითღირებულებაზე დაბალი ფასებით მოვახდინოთ ოპერირება, როცა რუსულ კომპანიებს ამის მეტი რესურსი აქვთ, რადგან საკუთარი სახელმწიფო უწევთ მხარდაჭერას.

ეს ყველაფერი სახელმწიფომ უნდა დააბალანსოს. სახელმწიფომ გარკვეული ბერკეტები უნდა გამოიყენოს და მათ მიმართ უნდა გატარდეს შესაბამისი სანქციები ან ქართულ კომპანიებსაც უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის მხარდაჭერა, რომ ჩვენი კონკურენცია ჯანსაღი და სამართლიანი იყოს, – აცხადებს გივი დავითაშვილი.

ჯორჯიან ეირვეისი დემპინგური ფასებით ოპერირებაში თურქულ ავიაკომპანიებსაც ადანაშაულებს. კომპანიას მსგავსი პრეტენზიები გააჩნია ვიზეირთან დაკავშირებითაც.

– დემპინგს ადგილი აქვს როგორც რუსული, ისე თურქული ავიაკომპანიების მხრიდან. უბრალოდ რუსული ავიაკომპანიების მხრიდან დემპინგი თვალშისაცემია და ადვილი მისახვედრია, რასთან გვაქვს საქმე. იგივე პრეტენზიები გვქონდა ვიზეირთანაც დაკავშირებითაც, იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფოც ეხმარება ვიზეირს.

გარდა ამისა, ისინი გარკვეული პრეფერენციებით სარგებლობენ საკუთარ ქვეყანაში. კონკურენციის სააგენტო სწავლობდა ამ საკითხს და არ ვიცი, ახლა რა ეტაპზეა ამ საკითხის შესწავლა. რაც შეეხება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, ისინიც საქმის კურსში არიან, – აცხადებს დავითაშვილი.

ელენე გოგბერაშვილი,
ბიზნესკონტრაქტი

პეკინის გამზირზე 3 თვე შეზღუდვები დაწესდება

თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეკინის გამზირზე სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება, რის გამოც გამზირზე 3 თვით შეზღუდვები დაწესდება.

გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები, საცობების განმუხტვისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება.

თემის დეტალებით გადაცემაში „საქმის კურსი“ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი საუბრობს.

– ბატონო გივი, რა პერიოდში გადაიკეტება პეკინის გამზირი და რამდენ ეტაპად განხორციელდება სამუშაოები?

– პეკინის ქუჩა არ გადაიკეტება, უბრალოდ, შეზღუდვები იქნება. ჯერ მარცხენა სავალი გზის შეზღუდვები მოხდება, ხოლო რაც შეეხება პეკინის ქუჩაზე მისასვლელ ყველა გზას, – თავისუფალი იქნება და მოძრაობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იქნება შესაძლებელი. სამუშაოებს რაც შეეხება, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც არანაირი კომუნიკაციების ქსელები და საერთოდ გზის საფარიც კი არ მოწესრიგებულა პეკინის ქუჩაზე. ჩვენთან ერთად ყველა საკომუნიკაციო კომპანია იმუშავებს.

ვფიქრობთ, რომ დაახლოებით აგვისტოს ბოლოსთვის ყველანაირი სამუშაო დასრულებული იქნება, ხოლო დაწყებას სკოლებში სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ვგეგმავთ და ეს, ალბათ, 7-დან 15 ივნისამდე პერიოდში იქნება. პეკინის ქუჩაზე ახალი მოდიფიცირებული ასფალტი მოეწყობა, რომელიც ასევე გზის სიცოცხლისუნარიანობას შეუწყობს ხელს.

– პეკინის ქუჩაზე ავტობუსების ზოლის მოწყობაც დაგეგმილია, აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიებთან თუ მიმდინარეობს მოლაპარაკებები?

– ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი კომპანია იმუშავებს პეკინის გამზირზე. გარდა სავალი ნაწილისა, სრულად მოვაწესრიგებთ ტროტუარებს, სადაც ასევე ავტობუსების ზოლები გაკეთდება და პეკინის გამზირი ახალი სახით გვექნება წარმოდგენილი. რაც შეეხება პროცესს, თუ როგორი იქნება მოძრაობა, აღნიშნულის პრეზენტაციას ჩვენ ძალიან მალე, დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში გავაკეთებთ.

რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გვქონდა საპატრულო პოლიციასთან და კიდევ აღვნიშნავ, რომ არცერთი ქუჩა არ გადაიკეტება, არამედ შეზღუდვები იქნება დაწესებული.

– რა ბიუჯეტია სამუშაოების შესასრულებლად გამოყოფილი?

– აღნიშნული პროექტის ღირებულება დაახლოებით 2 მილიონიდან 2.200 ათას ლარამდე იქნება.

ბიზნესკონტრაქტი

აიფონ პლუსს აიტექნიკის სასარგებლოდ 890.000 ლარის გადახდა დაეკისრა

სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია აიფონ პლუსს აიტექნიკის სასარგებლოდ 890.000 ლარის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ისბუქზე დარეპორტებულიყო, სანაცვლოდ მათ შექმნეს გვერდები სახელად: „მატყუარა აიტექნიკი“ და „აიტექნიკის“ დუბლიკატი ვებგვერდი, სადაც იტვირთებოდა ათასგვარი სისულელე.

ნათია შიოშვილმა 8 მაისს გამოიტანა, რითაც აიტექნიკის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

აიფონ პლუსის დამფუძნებლის მამუკა მარღიშვილის განცხადებით, აიტექნიკის სასარგებლოდ 890.000 ლარის გადახდასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებენ.

კომპანიებს შორის სასამართლო დავა გასულ წელს დაიწყო.

აიტექნიკი კომპანია აიფონ პლუსს უკანონო ქმედებებში ადანაშაულებდა. მისი ცნობით, აიფონ პლუსის წარმომადგენლებმა შექმნეს ყალბი ვებგვერდი და თავიანთი მიზანმიმართული მოქმედებებით მიაღწიეს იმას, რომ აიტექნიკის ოფიციალური გვერდი ფეხბურთელ ალეკო ბუაჩიძეს ეფიშა ბოლოს ეფიშა ბოლოს ეფიშა ბოლო

პეტრე მამრაძე: „რატომ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტი პირდაპირი წესით?!“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“ საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილ ახალ პროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის, პარტიებისა და არასამთავრობოთა საპროტესტო განწყობებს აანალიზებს.

პეტრე მამრაძის განცხადებით, მოსახლეობაში ახალი საკონსტიტუციო პროექტის მიმართ ინტერესი არ არის.

– როგორც პრეზიდენტს, ასევე პოლიტიკურ ოპოზიციას საყრდენი მოსახლეობაში, პრაქტიკულად, არ ჰყავს. აგრეთვე მოსახლეობაში კონსტიტუციის მიმართ ინტერესი დაბალია. მოსახლეობა ამ პოლიტიკოსების განცხადებებს გულგრილად და ზიზღით უყურებს. შესაბამისად, მოსახლეობის შესაბამისი გამოძახილი პრეზიდენტის, პარტიებისა თუ არასამთავრობოების განცხადებებზე არ არის. ამიტომ ხელისუფლება, პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობა ისეთ კონსტიტუციას მიიღებს, როგორიც თვითონ უნდა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ პეტრე მამრაძე.

– ბატონო პეტრე, კონსტიტუციის პროექტმა პოლიტიკური სპექტრი ორად გაყო. ერთ მხარეს ხელისუფლებაა თავისი პარტიებით, მეორე მხარეს არიან პრეზიდენტი, ნაცმოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი და პარტიები, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი ვერ გადალახეს. ასევე არიან არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც გარკვეულ საკითხებში არ ეთანხმებიან საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს. რა განვითარება შეიძლება ჰპოვოს ამ დაპირისპირებამ?

– არანაირი განვითარება არ ექნება ამას, ვინაიდან როგორც პრეზიდენტს, ასევე პოლიტიკურ ოპოზიციას საყრდენი მოსახლეობაში, პრაქტიკულად, არ ჰყავს. აგრეთვე მოსახლეობაში კონსტიტუციის მიმართ ინტერესი დაბალია.

– თუმცა ძალიან ხმაურობენ პრეზიდენტი და ის ძალები, რომლებიც ერთგვარ სიმბიოზს ქმნიან.

– ხალხის მასას მათი ხმაური არანაირად არ აინტერესებს. კითხვა დავსვათ, ეს ხმაური და პრეზიდენტის განცხადებები თუ კობახიძის სამარცხვინო განცხადება (თუ პრეზიდენტი თავს არ დაანებებს თავის განცხადებებს, ახლავე ჩავატარებთ პრეზიდენტის არჩევნებს პარლამენტის მეშვეობითო. გაუგონარი რამ არის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე კონსტიტუციის პროექტს უკავშირებდეს პრეზიდენტის განცხადებას, რომელიც აზიანებს მათ) ვის აინტერესებს? მოსახლეობა ამ განცხადებებს გულგრილად და ზიზღით უყურებს. შესაბამისად, მოსახლეობის გამოძახილი პრეზიდენტის, პარტიებისა თუ არასამთავრობოების განცხადებებზე არ არის. ამიტომ ხელისუფლება, პარლამენტის საკონსტიტუციო უმრავლესობა ისეთ კონსტიტუციას მიიღებს, როგორიც თვითონ უნდა.

– მოსახლეობის გულგრილობა კონსტიტუციის შესახებ პრეზიდენტის, ნაცმოძრაობისა და სხვათა განცხადებების მიმართ იმითაც ხომ არ არის განპირობებული, რომ პრეზიდენტისა და ნაცმოძრაობის აზრი ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა, მათ შორის რაღაც კავშირებს ხედავენ და ეს არ მოსწონთ?

– არა, საერთოდ ინტერესი არ არის. მე ინტენსიურად ვმუშაობ კონსტიტუციის პროექტზე. მაგალითად, 1995 წელს, როგორც პარლამენტის წევრი, ვმუშაობდი კონსტიტუციაზე და თან ვაკვირდებოდი მოსახლეობის განწყობას. მოსახლეობა თავისი სიდუხჭირის გამო არ დაინტერესდა კონსტიტუციით. საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია ის ადამიანები, რომლებმაც კონსტიტუცია წაიკითხეს და გაიაზრეს. ამდენად, რეალური ინტერესი კონსტიტუციის მიმართ ხალხში არ არის. 1976 წელს, 14 აპრილს, კონსტიტუციაში ენის საკითხზე ცვლილება რომ შედიოდა, ერთ მუშტად შეიკრა საზოგადოება. განსაკუთრებით ახალგაზრდებმა გამოიჩინეს ინიციატივა.

– შეიძლება, დიდი ინტერესი იმიტომ არ არის, რომ სერიოზული და პრინციპული ცვლილება არ შედის კონსტიტუციაში. ენის საკითხი პრინციპული იყო და ადამიანების ეროვნულ გრძნობებზე მოქმედებდა.

– დიახ. როდესაც ოპოზიცია ხმაურს ტეხს იმაზე, თუ ვის დარჩება ბონუსის სახით გაუნაწილებელი ხმები, დაიწიოს ბარიერი, მოსახლეობაში ეს არანაირ გამოძახილს არ ჰპოვებს. ხალხში არის ძალიან დიდი სკეპტიციზმი პოლიტიკური პარტიებისა და ე.წ. პოლიტიკურად ცნობადი სახეების მიმართ. ეს კარგად გამოჩნდა არჩევნებზე, მათ შორის, პირველ რიგში, ოცნების მიმართ. გაიხსენეთ, რამდენი ხმა აიღო ოცნებამ და რამდენი აიღეს ნაცისტებმა. სხვებზე აღარაფერს ვამბობ.

– პარტიებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ახლახან შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტს, დეკლარაცია მიიღეს (ისეთი ფორმით, გეგონება, დამოუკიდებლობის დეკლარაციას აწერდნენ ხელს). ასეთ ფორმატებსა და პროტესტის მცდელობებს გავლენა არ აქვს?

– არანაირი გავლენა არ აქვს. მე ყოველდღე მაქვს კონტაქტი ხალხთან და ვიცი, რომ ამ დეკლარაციამ ხალხის გულში არანაირი გამოძახილი არ გამოიწვია. ე.წ. პარტიები საკუთარ

თავში ჩაკეტილი არიან, საკუთარ წვენში იხარშებიან. საქართველოში ჯერჯერობით არცერთი პარტია ჩამოყალიბებული არ არის. მათი ჩამოყალიბების პროცესი არ დასრულებულა. ამ პატარ-პატარა ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანებული არიან პრეზიდენტის გარშემო, არაფერი აქვთ საერთო. რეგისტრირებულია 260 პარტია. 261-ე, ალბათ, უსუფაშვილის პარტია იქნება.

– როგორ მოგწონთ უსუფაშვილის გადაწყვეტილება პოლიტიკაში დაბრუნებისა და ახალი პარტიის შექმნის თაობაზე?

– უსუფაშვილის ახლანდელი გადაწყვეტილება ისეთივე სასაცილოა, როგორიც მისი საარჩევნო კამპანია, როცა გამოდიოდა და ამბობდა, გავთავისუფლდეთო.

– გათავისუფლდა ოცნებისაგან და „რეალურ პოლიტიკურ პლატფორმაზე“ დადგომას აპირებს, ალბათ.

– არა, სასაცილოა ეს ყველაფერი. ამისთვის სად არის ბაზა და დასაყრდენი მოსახლეობაში? სასაცილო მომენტი ჩემთვის ის იყო, როცა ინტერესით ვუყურებდი, გამოჩნდა უსუფაშვილი, კედელზე რაღაც პლაკატივით ჰქონდა გაკრული, ჩამოხია და გავთავისუფლდეთო.

სიტუაციაა ისეთი, რომ კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვის დროს ტექსტი და მისი ანალიზი, რა ცვლილება შევიდა და რატომ, არავის უნახავს. საინტერესოა, საქართველოში კონსტიტუციის ტექსტი რამდენმა ადამიანმა წაიკითხა.

– ინტერესი რამდენიმე საკითხის მიმართ გამოიკვეთა, როგორებიცაა მიწის საკითხი, საარჩევნო ბონუსების გადანაწილება, პრეზიდენტის არჩევის წესი.

– სინამდვილეში არცერთი არ არის არსებითი. ახალ კონსტიტუციაში ბევრი საკითხია შეცვლილი. ეს ის საკითხებია, რომლებსაც ახმოვანებდნენ, ვინაიდან თავისი კერძო ინტერესი აქვს ვაიპრეზიდენტს.

– თქვენ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას მხარს უჭერთ?

– არავითარ შემთხვევაში. პრეზიდენტი პირდაპირი წესით რატომ უნდა ავირჩიოთ, როდესაც არის საპარლამენტო რესპუბლიკა?

– საპარლამენტო რესპუბლიკა არ გვინდოდაო და როგორ უნდა შევთანხმდეთ?

– როგორ უნდა შევთანხმდეთ? ამისთვის პარლამენტში უმრავლესობა არსებობს. ის, რომ ადამიანს ელანდება, თითქოს შეიძლება პრეზიდენტი კიდევ გახდეს და კონსტიტუციის მიმართ ინტერესს იჩენს, ამიტომ ვერ იქნება პირდაპირი წესით არჩევა.

– თქვენ იქრობთ, რომ გიორგი მარგველაშვილი მეორედ იყრის კენჭს პრეზიდენტობაზე?

– სხვაგვარად რომ ყოფილიყო, არავითარ შემთხვევაში არ შევიდოდა კალიგულას სასახლეში. მანამდე მარგველაშვილი აცხადებდა, რომ პრეზიდენტის სასახლეში არ შევიდოდა. ამას იმით ასაბუთებდა, ამბობდა, ბოროტების აკვანიაო. მიუხედავად ამისა, შევიდა ბოროტების სასახლეში და აასრულა თავისი ბავშვობის მეგობრების, ბოკერიასა და სხვათა სურვილები, რომლებიც მოითხოვდნენ იმ სასახლეში მარგველაშვილის შესვლას, რომელიც საკაშვილის სადისტური რეჟიმის სიმბოლო იყო. მარგველაშვილი არა მარტო ავლაბრის რეზიდენციაში შევიდა, ივანიშვილს განუცხადა, ბობოყვათის რეზიდენციაც მე მინდაო. მარგველაშვილს ჰგონია, საერთო-სახალხო არჩევნები რომ იყოს, როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, პოპულარულია საქართველოში და გაიმარჯვებს.

– მარგველაშვილი პოპულარული არ არის?

– არანაირად, ისევე, როგორც ოცნებას, რომელიც პატრონად მიიჩნევს ერთ ადამიანს და დაკარგული აქვს ის რეიტინგი, რომელიც თავის დროზე ჰქონდა.

– სხვათა შორის, ნაცები და სხვები ქილიკობენ 300-ხმოსანზე, ვინც ამ კონსტიტუციის პროექტით უნდა აირჩიოს პრეზიდენტი. ეს გავლენას არ ახდენს?

– ასე ირჩევა პრეზიდენტი საპარლამენტო რესპუბლიკებში. საპარლამენტო რესპუბლიკაში როგორი სტატუსიც აქვს პრეზიდენტს, იმის შესაბამისად აირჩევა. გამონაკლისები არის, როცა საპარლამენტო რესპუბლიკაა და მაინც პირდაპირი წესით ირჩევენ პრეზიდენტს, მაგრამ, რატომ უნდა ავირჩიოთ, როცა დიდ საშიშროებას ქმნის, მით უმეტეს, თუ უშიშროების საბჭო ასეთი პრეზიდენტის ხელში იარსებებს.

„ერის მოღალატეა ის, ვინც ამას და მისნაირებს ელოლიავება!“

განცხადებას, რომელიც საქართველოში მომლოცველი-ტურისტის სტატუსით ჩამოსულმა მოსკოვის ყოფილმა მერმა იური ლუჟკოვმა გააკეთა, სოციალურ ქსელში სასულიერო პირები ეხმაურებიან. დეკანოზ ილია ჭიღლაძის თქმით, ვინც ლუჟკოვსა და მის მსგავსებს ელოლიავება, ერის მოღალატეა:

– აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი სხვა ხალხებია და სხვა ქვეყნებად იყვნენ, სჯობსო, ეს უსინდისო იმპერიალისტი ლუჟკოვი რომ ამბობს და გვირჩევს ქართველებს ქართულ მიწაზე ჩამოთრეული, განა თათარსტანი, ციმბირის ხალხები, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ჩერქეზ-ადიღები, ბალყარები და ყარაჩაელები, ყალმუხები რუსები არიან და რუსეთის ისტორიული მიწებია? რატომ არიან, ან უნდა იყვნენ ეს ხალხები და ქვეყნები რუსეთის შემადგენლობაში? აი, რუსი ვანიას „ფილოსოფია“: თვითონ ათობით ხალხისა და ქვეყნის დამპყრობი, ჩვენ ისტორიულ ქართულ მიწებს გვართმევს და თან ჭკუას გვასწავლის... ამაზეა ზედგამოჭრილი სიტყვა ღ ო რ ი! ერის მოღალატეა ის, ვინც ამას და მისნაირებს ელოლიავება! – წერს ილია ჭიღლაძე.

კრიტიკული განცხადებით გამოდის დეკანოზი თამაზ ლომიძეც. მისი თქმით, თუ ქვეყანაში მთავრობა არსებობს და კანონი კანონობს, ლუჟკოვი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ და სამაგალითოდ უნდა იქნეს გაძევებული:

– აი, თავხედი რუსი. დღეს გვეუბნება ამას „სტუმრად“ მყოფი ქართულ მიწაზე: „აფხაზეთი სხვა ქვეყანაა, ეს სულ სხვა ხალხია. ასეა ოსეთიც. ....ვფიქრობ, საქართველო, ამ რეგიონების ჩამოშორების შემდეგ, მომავალში უკეთ იგრძნობს თავს.

თუ მთავრობა არსებობს და კანონი კანონობს საქართველოში, გააძევეთ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ და სამაგალითოდ, – წერს დეკანოზი თამაზ ლომიძე

შეგახსენებთ, საქართველოში მყოფმა მოსკოვის ყოფილმა მერმა, იური ლუჟკოვმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებზე საუბრისას განაცხადა, რომ საქართველო, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩამოშორების შემდეგ, მომავალში უკეთ იგრძნობს თავს.

შსს: „ღამის მგლების“ ჯგუფმა თბილისში მასშტაბური პერფორმანსის გამართვა ვერ შეძლო“

– „ღამის მგლების“ ჯგუფმა ვერ შეძლო თბილისში მასშტაბური პერფორმანსის გამართვა. უწყება მომავალშიც არ მიესალმება მსგავსი ჯგუფების საქართველოში ვიზიტს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

უწყებაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე პოლიციამ ქვეყანაში შემოსვლის ნება რამდენჯერმე არ მისცა „ღამის მგლების“ ორგანიზებულ ჯგუფებს, რამდენიმე ბაიკერი კი საქართველოში ყოველგვარი ამოსაცნობი ატრიბუტიკის გარეშე შემოვიდა.

– შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკაფიოდ განაცხადა, რომ არ შემოუშვებდა საქართველოში რუსი ბაიკერების, „ღამის მგლების“ ორგანიზებულ დაჯგუფებებს, რომლებიც თბილისში 9 მაისთან დაკავშირებით მასშტაბური პერფორმანსის გამართვას გეგმავდნენ.

როგორც ცნობილია, საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე პოლიციამ ქვეყანაში შემოსვლის ნება რამდენჯერმე არ მისცა „ღამის მგლების“ ორგანიზებულ ჯგუფებს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში ყოველდღიურად, ტურისტული და ტრანზიტული მიზნით, სხვადასხვა ქვეყნიდან ათობით ბაიკერი შემოდის. აღნიშნულ ტურისტულ ჯგუფებთან ერთად, სხვადასხვა დროს, საქართველოში, ლეგალური დოკუმენტაციითა და ყოველგვარი ამოსაცნობი ატრიბუტიკის გარეშე, შემოვიდა რამდენიმე ერთეული (დაახლოებით 2-3) ბაიკერი. ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ საზღვარზე ამ ადამიანებს „ღამის მგლების“ არანაირი ატრიბუტიკა არ გააჩნდათ.

შსს-ს მოქმედებების შედეგად, რუსი ბაიკერების – „ღამის მგლების“ ჯგუფმა ვერ შეძლო თბილისში მასშტაბური პერფორმანსის გამართვა. უწყება მომავალშიც არ მიესალმება მსგავსი ჯგუფების საქართველოში ვიზიტს, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში.

მარტვილის რაიონის სოფელ ზემო ნაგვაზაოში ათამდე საფლავი შეურაცხყვეს

მარტვილის რაიონის სოფელ ზემო ნაგვაზაოში ათამდე საფლავი შეურაცხყვეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივებმა განუცხადეს. მათი განმარტებით, შემთხვევის შესახებ 8 მაისს შეიტყვეს.

საფლავის ქვებს სხვადასხვა დაზიანება აღენიშნება. სოფლის მცხოვრებთა განცხადებით, მსგავსი ფაქტი აქამდე არ მომხდარა. ისინი შესაბამის ორგანოებს საქმის დროული გამოძიებისკენ მოუწოდებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 258-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მიცვალებულისადმი უპატივცემულობას გულისხმობს. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით.

პატრულმა ოკუპაციის გაპროტესტებისას „თავისუფალი ზონის“ წევრი დააკავა

„თავისუფალი ზონის“ წევრი ონისე გერგედავა საპატრულო პოლიციამ დააკავა. გავრცელებული ინფორმაციით, გერგედავა სოფელ ხურვალეთთან ოკუპაციას აპროტესტებდა. ის საოკუპაციო ზოლთან საგზაო მიმართულებების მანიშნებელზე აძვრა და წარწერები – „ოკუპირებული შიდა ქართლი“ და „რუსეთს რა?“ გააკეთა. ბანერების გაკვრის შემდეგ გერგედავა საპატრულო პოლიციამ დააკავა.

ლავროვი ტილერსონს შეხვდება

10 მაისს ვაშინგტონში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ტილერსონი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი შეხვდებიან. საუბრის ძირითადი თემა უკრაინასა და სირიაში შექმნილი მდგომარეობა იქნება.

ტილერსონი ლავროვის წინაშე მინსკის შეთანხმებათა რეალიზაციის საკითხს კატეგორიულად დააყენებს.

კერძოდ, უნდა შეწყდეს ძალადობა, დაიწყოს განაღმვითი სამუშაოები, საზღვარზე კონტროლი კი მთლიანად უკრაინულ მხარეს გადაეცეს.

– არჩევნების ჩატარება და დონბასის საკითხის განხილვა მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა ძალადობა შეწყდება, – თქვა ტილერსონმა.

სირიასთან დაკავშირებით ამერიკული მხარე მოითხოვს ბრძოლების შეწყვეტას, მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენას, პოლიტიკური დიალოგისთვის სათანადო პირობების შექმნას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ავღანეთის მედრესში მომხდარი აფეთქებისას 9 ადამიანი დაიღუპა

ავღანეთის პროვინცია ფარვანში მედრესში აფეთქების შედეგად 9 ადამიანი დაიღუპა.

ასაფეთქებელი მოწყობილობა კლასში გაკვეთილის დროს ამოქმედდა.

ინფორმაცია დაშავებულების შესახებ დაზუსტებული არ არის.

მომხდარზე არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას პასუხისმგებლობა არ აუღია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ტრამპმა ნიუ იორკში ვიზიტების სიძვირე აღიარა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ნიუ იორკში ვიზიტებსა და იქ დარჩენაზე უარს სიძვირის გამო ამბობს, ასევე იმ უხერხულობის გამოც, რომელსაც ქალაქს მისი ვიზიტები უქმნის.

– მიზეზი, თუ რატომ შევჩერდი ბედმინსტერში, ნიუ ჯერსიში, ამ ლამაზ ადგილას, ისაა, რომ ნიუ იორკში ჩასვლა და იქ დარჩენა გაცილებით ძვირი ჯდება, ასევე მრავალ არაკომფორტულობასთანაა დაკავშირებული, დაწერა ქვეყნის პრეზიდენტმა საკუთარ ტვიტერში.

ელისაბედ II-მ ანა ვენტურს ტიტული მიანიჭა

ამერიკული ვოგის მთავარი რედაქტორი ანა ვენტური დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს შეხვდა, რომელმაც მას „ქალბატონის“ ტიტული უბოძა.

ბრიტანეთში დაბადებულ ვენტურის ასეთი პატივი მოდისა და ჟურნალისტიკის სამსახურისთვის ერგო. ამერიკულ ვოგის ის თითქმის 30 წელია ხელმძღვანელობს.

ბუკინჰემის სასახლეში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე ვენტურმა დედოფალთან მცირე ხანს ისაუბრა. კერძოდ, ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა დედოფლის მეუღლის, ედინბურგის ჰერცოგის ღვაწლი აღნიშნა, რომელიც შემოდგომიდან პენსიაზე გასვლას აპირებს.

ელისაბედ II იაგუარის საჭესთან დააფიქსირეს

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II იმ მომენტში დააფიქსირეს, როდესაც ის ეკლესიიდან მომავალი იაგუარის საჭესთან იჯდა.

91 წლის დედოფალი უინძორის პარკში ყველა წმინდანის სამეფო კაპელაში წირვაზე დასწრების შემდეგ სახლში უინძორის ციხესიმაგრეში ბრუნდებოდა.

დედოფალი ლურჯი ფერის კოსტიუმსა და შესაბამის ქუდში იყო გამოწყობილი. საჭის გვერდით მგზავრისთვის განკუთვნილ სავარძელში პირადი მცველი იჯდა.

დედოფლის მანქანის მართვით გატაცება საყოველთაოდაა ცნობილი. 2015 წელს წირვაზე მიმავალმა ელისაბედ II-მ მანქანა პარკის გაზონზე გადაიყვანა, როდესაც გზა ბავშვებთან ერთად მოსეირნე წყვილმა გადაუჭრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მაკრონი საკუთარი პარტიის რიგებს ტოვებს

საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა ემანუილ მაკრონმა განაცხადა, რომ საკუთარი პარტიის „წინ“ რიგებს დატოვებს.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მისი თანამოაზრეები მხოლოდ მისი პარტიის წევრები არ არიან.

– ჩემი მიზანია ფართო კოალიციის შექმნა, სადაც ყველა ჩემი თანამოაზრე გაერთიანდება, – განაცხადა მაკრონმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი უახლოესი მიზანი საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაა.

არჩევნები ივნისში ჩატარდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამხრეთ კორეა: საპრეზიდენტო არჩევნებში მუნ ჩჟე ინი ლიდერობს

სამხრეთ კორეაში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა.

ეგზიტპოლების მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებზე „დემოკრატიული პარტიის“ კანდიდატი მუნ ჩჟე ინი არჩევნებში მონაწილეთა ხმების 41,4%-ით ლიდერობს.

საპრეზიდენტო არჩევნებში 13 კანდიდატი მონაწილეობდა.

სამხრეთ კორეაში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები მას შემდეგ დაინიშნა, რაც გასული წლის დეკემბერში, კორუფციული სკანდალის გამო, პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტს პაკ კინ ხეს იმპიჩმენტი გამოუცხადა, ხოლო მიმდინარე წლის მარტში სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო სასამართლომ ეს იმპიჩმენტი დაამტკიცა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ისლამურმა სახელმწიფომ რუსი სამხედროს მოკვლის ვიდეო გამოაქვეყნა

ტერორისტულმა დაჯგუფება ისლამურმა სახელმწიფომ ვიდეომასალა გამოაქვეყნა, რომელშიც, მათი მტკიცებით, სირიაში ტყვედ აყვანილ „რუს პოლკოვნიკს“ სიკვდილით სჯიან.

12-წუთიან რუსულ ენაზე ჩაწერილ ვიდეომასალაში ნაჩვენები მამაკაცი სირიაში რუს სამხედროებს ჩაბარებისკენ მოუწოდებს. ვიდეოჩანაწერში მას, როგორც პოლკოვნიკ ევგენი პეტრენკოს მოიხსენიებენ.

ჩანაწერში ნათქვამია, რომ ის 2016 წლიდან სირიასა და ერაყში მსახურობდა. ამის შემდეგ მას ისლამური სახელმწიფოს ტერორისტმა ყელი გამოჭრა.

– ამ იდიოტს თავისი სახელმწიფოს დანაპირების სჯეროდა, რომ თუ ტყვედ აიყვანდნენ, მას არავინ მიატოვებდა, – ნათქვამია ვიდეომასალაში.

ვიდეოს ავთენტურობა და დასჯილი პირის ვინაობა დადგენილი არ არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მაისში საქართველო სპორტული ნარდის ეპიცენტრი ხდება

10 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით, საქართველოში მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირები გაიმართება სპორტულ ნარდში. 10-14 მაისს სასტუმროში თბილისი მარიოტი მსოფლიო თასის გათამაშება ჩატარდება, 15-19 მაისს კი სასტუმრო წყალტუბო პლაზა საერთაშორისო მედიატურნირს უმასპინძლებს.

სადღეისოდ საქართველო ნარდში 3 მნიშვნელოვანი ტურნირის ორგანიზატორია: გოგი ბუკიას ღია მემორიალი, საერთაშორისო მედიატურნირი და მსოფლიო თასის გათამაშება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და რეიტინგულია მსოფლიოში, მონტე კარლოს მსოფლიო ჩემპიონატთან ერთად.

ყველა ამ ტურნირებს ორგანიზებას უწევს საქართველოს ნარდის კლუბი, ნარდის მსოფლიო ფედერაციასა და საქართველოს ეროვნულ ფედერაციასთან ერთად. მსოფლიო თასის გათამაშების გენერალური სპონსორია კომპანია აჭარაბეთი.

მედიატურნირის გამართვას კი, უკვე მეორე წელია, ორგანიზებას უწევს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომელიც მონაწილეთა მგზავრობის, სასტუმროში განთავსების საკითხებსა და ასევე კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობას უზრუნველყოფს, ტურნირების მხარდამჭერია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს 20-მდე ქვეყნის 200-ზე მეტი წარმომადგენელი, ხოლო მედიატურნირში 10-ზე მეტი ქვეყნის 40-მდე ჟურნალისტი. ორივე ტურნირზე ასპარეზობები გაიმართება ორ კატეგორიად – პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის.

მსოფლიო თასის გათამაშებაზე გათვალისწინებულია ასევე სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებთა შეჯიბრებები. ტურნირებზე დაწესებულია როგორც საპრიზო ფონდი, ასევე წამახალისებელი ჯილდოები.

მედიატურნირი ისეთი ცნობილი გამოცემების ჟურნალისტებით იქნება დაკომპლექტებული, როგორებიც არიან – „გარდიანი“, „ლოს ანჯელეს თაიმსი“, „ნიუ იორკ დეილი“ და ა.შ. გასულ წელს მსოფლიოს რამდენიმე პოპულარულ ჟურნალ-გაზეთსა და ტელევიზიაში 15-ზე მეტი სტატია და გადაცემა მომზადდა საქართველოს შესახებ, რაც არა მარტო სპორტული ნარდის განვითარებას, არამედ საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაზრდას ითვალისწინებს.

კახა ჩხეტიანი: „მესიმ 1.000 ლარი რომ მოითხოვოს, ვერ მოვიყვანთ“

ქუთაისის ტორპედო ის ერთ-ერთი ქართული გუნდია, რომელმაც წელს ევროთასებზე ქვეყანა უნდა წარმოაჩინოს. სეზონის მეოთხედი მიილია და აშკარად ჩანს, რომ თუ რიონისპირელები არ გაძლიერდნენ, ევროპის ლიგაზე სახარბიელო შედეგს ვერ აჩვენებენ.

რა კეთდება არსებული პრობლემების დასაძლევად და საერთო ვითარების გასაუმჯობესებლად, – ამ და სხვა საკითხებზე ტორპედოს მთავარი მწვრთნელი კახა ჩხეტიანი საუბრობს.

– ჩემპიონატი ძალიან ცუდად დავიწყეთ და ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. ბევრი ფეხბურთელი ვერ შეხვდა სეზონს სრულ მზადყოფნაში. იყო ტრავმები, ბიჭებმა იავადმყოფეს. რის გამოც სრულფასოვანი წინასასეზონო წვრთნა ვერ გაიარეს. ამის მიუხედავად, თანდათან მოვახერხეთ ძალების მობილიზება. სათასოების ჩათვლით 9-მატჩიანი წაუგებელი სერია გვქონდა, 4 თამაში ზედიზედ მოვიგეთ, მათ შორის ძალიან პრინციპული სამტრედიასთან თასის მერვედფინალში, ძალიან რთული მეტოქეები გვყავდა. თამაშები ყოველ მეოთხე დღეს იმართებოდა. სამტრედიასთან სათასო მატჩმა ძალიან დიდი ენერგია წაიღო, ამიტომ თბილისის დინამოსთან ჩვენი შესაძლებლობების 50 პროცენტიც ვერ გამოვავლინეთ. ამ მატჩის წინა დღეებში ვარჯიშებზეც იგრძნობოდა, რომ გუნდი გადაღლილი იყო და ბოლომდე აღდგენას ვერ შეძლებდა, მაგრამ რა უნდა გვექნა? ხომ უნდა გვეთამაშა?

– დინამოსთან მატჩის შემდეგ თქვენ აღნიშნეთ, რომ თამაშმა რგოლებში ბევრი ხარვეზი დაგანახა.

– მარტო დინამოსთან მატჩზე არ არის საუბარი, ამ თამაშში ძირითადი როლი გადაღლილობამ ითამაშა.

– ჩატარებული თამაშებიდან რომელს გამოარჩევდით?

– ჩემი აზრით, გამორჩეული იყო მატჩების სერია, რომელშიც ჩვენ გამარჯვებები მოვიპოვეთ, დაწყებული შინ ჩიხურასთან და სამტრედიასთან სათასოთი დამთავრებული. ამ მატჩებში შედეგთან ერთად თამაშის ხარისხმაც დაგვაკმაყოფილა.

– როგორ ფიქრობთ, ეროვნულმა ლიგამ გაამართლა?

– ნამდვილად გაამართლა. ფაქტობრივად, ყველა მატჩი დაძაბულია. წინასწარ ვერ განსაზღვრავ, ვინ ვის მოუგებს. უბრალოდ, გუნდებს არა აქვთ შესაძლებლობა, ყველა მატჩში როტაციას მიმართონ და შეავსონ ის სივრცეები, რაც ტრავმიანობით და ფეხბურთელების დისკვალიფიკაციით ჩნდება. ამისათვის საჭიროა ფინანსები.

– უხარისხო მოედანი თითქმის ყველა გუნდის აქილევსის ქუსლია. აქედან გამომდინარე, ცოტა ადრე ხომ არ იყო მოუმზადებელი ინფრასტრუქტურით ეროვნული ლიგის დაწყება?

– ვფიქრობ, ქართული ფეხბურთის გადასარჩენად აუცილებელი იყო, ეს საქმე რაღაც ეტაპზე დაწყებულიყო.

– ეროვნული ლიგის მეორე წრე ტორპედოსთვის საკლუბო ევროსარბიელზე ასპარეზობისთვის მოსამზადებელ ეტაპად შეიძლება განვიხილოთ და აპირებთ თუ არა საამისოდ გუნდის გაძლიერებას, თუნდაც ლეგიონერებით?

– ტორპედო ერთადერთი გუნდია ეროვნულ ლიგაში, რომელსაც ლეგიონერი არ ჰყავს. ძალიან მომწონს, რომ ქართულ კლუბებში კარგი ლეგიონერები გამოჩნდნენ. მათ გუნდები ნამდვილად გააძლიერეს. მაგრამ ჩვენთან ახლა ისეთი ფინანსური მდგომარეობაა, მესიმაც კი, თვეში მხოლოდ 1.000 ლარი რომ მოითხოვოს და მეტი არაფერი, იმასაც ვერ ავიყვანთ... მაშინაც კი, როცა ბატონი ზაალ ჩაჩავა ჩაიბარებს გუნდს, ხელაღებით ლეგიონერის მოყვანა სარისკო იქნება. ძალიან ძნელია წინასწარ განსაზღვრო, თუ რამდენად წაადგება ის გუნდს. ჩვენი იმის დროც არ გვექნება, მას შანსი მივცეთ. ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, თუ შესაძლებლობა მოგვეცემა, 3-4 ქართველი ფეხბურთელით გავძლიერდეთ.

უმცროსი ბორჯღალოსნები ემზადებიან. ნორჩმა ქურციკებმა შემადგენლობა დაასახელეს

უმცროსი ბორჯღალოსნებისთვის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის მზადების ხანგრძლივი პროცესი დასასრულს უახლოვდება. ჩვენი ნაკრები სამხრეთ აფრიკულ ვესტერნ პროვინსთან მოგებული სამმატჩიანი სერიის შემდეგ ისვენებს. საბოლოოდ კი, მწვრთნელები იმ 28 მორაგბეს აირჩევენ, რომლებმაც 31 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით ქვეყნის ღირსება უნდა დაიცვან.

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა საქართველოში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება 8 თვის წინ დაიწყეს. მწვრთნელებმა – ილია მაისურაძემ, ლადო კილასონიამ და ზურა ამონაშვილმა გუნდი პირველად 2016 წლის სექტემბერში შეკრიბეს და ხანგრძლივი სელექციის პროცესი დაიწყო. უკვე ტრადიციული, მენტალური შეკრების შემდეგ, ნაკრებმა ნოემბერში 3 საკონტროლო შეხვედრა გამართა. ამასთან, ბრიტანულ ტურნეზე ჩრდილოეთი ირლანდიური ალსთერის ახალგაზრდული გუნდი და შოტლანდიის თანატოლთა ნაკრები დაამარცხა.

რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე უმცროს ბორჯღალოსნებს ყოველ მეოთხე დღეს უწევთ თამაში, ვესტერნ პროვანსთან თამაშებიც ამ ინტერვალით დაიგეგმა.

ძირითადი მიზანი პრობლემების გამოვლენა იყო და სერიის შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ილია მაისურაძემ** ისაუბრა:

– სულ 10 დღეა, რაც ბურთით ვარჯიში დავიწყეთ და ვიცოდი, რომ ბიჭებს სისტემაში ჩაჯდომა გაუჭირდებოდათ. მომეჩვენა, რომ შერკინება და ხაზი ცალ-ცალკე თამაშობდა და ამის დაბალანსება მოგვიწევს. დავინახეთ შეცდომები რაქში და დერეფანში, პრობლემები გვქონდა დაცვაშიც. თუმცა ეს 3 თამაში სწორედ პრობლემების გამოვლენას ემსახურება, რათა მათი აღმოფხვრა მსოფლიოს ჩემპიონატამდე მოვასწროთ.

რადგან ღონეში მეტოქეს მაგრად ვჯაბნიდით, მესამე მატჩის წინ ჩვენი მთავარი კოზირი გავწირეთ – შერკინებაში მიწოლა აიკრძალა. ამის მიზანი ღია თამაშში უპირატესობებისა და ნაკლოვანებების უფრო კარგად წარმოჩენა იყო. აღმოჩნდა, რომ შერკინება ჩვენი ერთადერთი უპირატესობა არაა და ვესტერნ პროვინსს მესამე მატჩში ყველაზე მეტი, 10 ლელო დავუდეთ. ამ 3 თამაშით კარგი გამოცდილება მივიღეთ.

10-დღიანი სათამაშო შეკრების შემდეგ უმცროსი ბორჯღალოსნები ისვენებენ, მწვრთნელებს კი მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი უდგათ. მათ განვლილი 3 თამაში უნდა გააანალიზონ და, როგორც გითხარით, ის 28 მორაგბე შეარჩიონ, რომლითაც 31 მაისიდან 18 ივნისამდე მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. შედგება სარეზერვო სიაც, სადაც ის მორაგბეები იქნებიან, რომლებიც გუნდთან ერთად ივარჯიშებენ და საჭიროების შემთხვევაში ტრავმირებულ თანაგუნდელს ჩაანაცვლებენ.

ამასობაში სამხრეთ აფრიკის (ნორჩი ქურციკები) ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ჩინ რუმ საქართველოში გასამართი მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის 28-კაციანი რაზმი დაასახელა.

განაცხადში ყველაზე მეტი – 11 მორაგბე სწორედ საქართველოსთან დამეგობრებული და სამჯერ ძლეული ვესტერნ პროვინსიდანაა, 7 – ბლუ ბულზიდან და 5 – გოულდენ ლაიონზიდან. გუნდს უკაპიტნებს ერნსტ ფან-რეინი, ვისაც ზურგს გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული გამოცდილება უმაგრებს. მის გარდა 2016 წელს ინგლისში ითამაშეს და მეოთხე ადგილი დაიკავეს ქერვინ ბოშმა, კვენზო ბლოსემ, კარლიუ სადიმ, ზეინ დევიდსმა, სტედმან ხანსმა, მენი ლიბოკმა და ემბროუზ პაპიემ.

ნორჩი ქურციკების მთავარი მწვრთნელის რჩეულთა შორის 6 ისეთი მორაგბეა, რომლებმაც საერთაშორისო გამოცდილება შარშან, 19-წლამდელთა ნაკრებში მიიღეს. ფულბექმა ქერვინ ბოშმა შარქსის შემადგენლობაში ზე-რაგბი შარშანვე დაჭაშნიკა, წელს კი უკვე 8 თამაშში მიიღო მონაწილეობა, გუნდს 108 ქულა შესძინა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია. შარშანდელ მსოფლიოზე მან 5 მატჩში 63 ქულა მოაგროვა.

ზე-რაგბის მიმდინარე სეზონში, სთორმერზის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა დამიენ ვილემსეს, ვისაც 19 წელი 7 მაისს უსრულდება, ხოლო დევიდსმა და ხანსმა ბოლო 3 თვე სამხრეთი აფრიკის 7-კაცა ნაკრებში გაატარეს.

ჩინ რუ:

– მორაგბეთა ხარისხი და პოტენციალი მაიმედებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა წინაღობას დავძლევთ. კონკურენცია ძალიან მძაფრი იყო და რაზმის 28 კაცამდე შეკვეცა გაგვიჭირდა. მწამს, რომ ამ ბიჭებით საქართველოში ტოლს არავის დავუდებთ. მოთამაშეთა უმეტესობას საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს და ეს ძალიან გამოგვადგება. ჯგუფში საფრანგეთს, საქართველოსა და არგენტინას ვეთამაშებით და ამიტომ პირველივე დღიდან საუკეთესო ფორმაში უნდა ვიყოთ, რათა ძლიერი მოწინააღმდეგეები ვძლიოთ და თასის მოპოვებაზე გავაკეთოთ განაცხადი. ბოლო ორი თვე ბევრი ვიმუშავეთ. ფიზიკურად და მორალურად სრულ მზადყოფნაში ვართ. ახლა მნიშვნელოვანია, მაღალი ინტენსივობა შევინარჩუნოთ. იმედია, ჩვენი გარჯა შედეგს მოიტანს.

ფაჩულია და გოლდენ სტეიტი კონფერენციის ფინალში გავიდნენ

გოლდენ სტეიტ უორიორსი და ზაზა ფაჩულია ნბას დასავლეთის კონფერენციის ფინალში არიან. ამერიკის პროფესიონალი ლიგის პლეი ოფის მეორე რაუნდში ოკლენდელებმა მეოთხე მატჩიც მოუგეს იუტა ჯაზს და სერიაში მშრალი ანგარიშით – 4:0 იმარჯვეს.

სერიის მეოთხე მატჩი სოლტ ლეიკ სიტიში გაიმართა, რომელიც გოლდენ სტეიტმა დიდი უპირატესობით – 121:95 მოიგო. ზაზა ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე სერიაში ყველაზე მეტი დრო – 19 წუთი გაატარა. ქართველმა ლეგიონერმა 5-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა საბოლოოდ 2 ქულით, 8 მოხსნით და 2 ჩაჭრით დაასრულა.

გოლდენ სტეიტს 30 ქულით სტეფ კარიმ ულიდერა. 18 ქულა დააგროვა კევინ დიურანტმა, ხოლო დრეიმონდ გრინის ანგარიშზე სამმაგი დუბლი – 17 ქულა, 11 პასი და 10 მოხსნა დაგროვდა.

გოლდენ სტეიტი დასავლეთ კონფერენციის ფინალშია და მეტოქეს ელოდება, რომელიც სან ანტონიოსა და ჰიუსტონის დაპირისპირებაში უნდა გამოვლინდეს. აღნიშნულ სერიაში ანგარიშია 2:2.

შედეგები

8 მაისი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ჩელსი-მიდსლბრო 3:0

საუტენჰემი ცხრილი:

1.ჩელსი	35	27	3	5	75-29	84
2.ტოტენჰემი	35	23	8	4	71-23	77
3.ლივერპული	36	20	10	6	71-42	70
4.სიტი	35	20	9	6	70-37	69
5.მანჩესტერი	35	17	14	4	51-27	65
6.არსენალი	34	19	6	9	66-42	63
7.ევერტონი	36	16	10	10	60-41	58
8.ვესტ ბრომვიჩი	35	12	9	14	41-45	45
9.ლესტერი	35	12	7	16	45-54	43
10.საუთჰემპტონი	34	11	9	14	39-44	42
11.ბორნმუთი	36	11	9	16	52-65	42
12.ვესტ ჰემი	36	11	9	16	45-59	42
13.სტოკი	36	10	11	15	39-52	41
14.ბარნლი	36	11	7	18	37-51	40
15.უოტფორდი	35	11	7	17	37-58	40
16.კრ.პალასი	36	11	5	20	46-61	38
17.სუონსი	36	10	5	21	41-69	35
18.ჰალი	36	9	7	20	36-69	34
19.მიდლსბრო	36	5	13	18	26-48	28
20.სანდერლენდი	35	6	6	23	28-60	24

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლეგანესი-ბეტისი 4:0

საკუთნიო ცხრილი:

1.ბარსელონა	36	26	6	4	108-34	84
2.რეალი	35	26	6	3	96-39	84
3.ატლეტიკო	36	22	8	6	66-25	74
4.სევილია	36	20	9	7	63-45	69
5.ვილიარეალი	36	18	9	9	53-32	63
6.ბილბაო	36	19	5	12	51-39	62
7.სოსიედადი	36	19	5	12	55-49	62
8.ეიბარი	36	15	9	12	54-46	54
9.ესპანიოლი	36	14	11	11	47-48	53
10.ალავესი	36	13	12	11	37-41	51
11.მალაგა	36	12	9	15	47-51	45
12.სელტა	35	13	5	17	49-60	44
13.ვალენსია	36	12	7	17	54-62	43
14.ლას პალმასი	36	10	9	17	52-67	39
15.ბეტისი	36	10	7	19	38-61	37
16.ლეგანესი	36	8	9	19	34-53	33
17.დეპორტივო	36	7	11	18	40-61	32
18.ხიხონი	36	6	9	21	39-70	27
19.გრანადა	36	4	8	24	28-78	20
20.ოსასუნა	36	3	10	23	38-88	19

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-უნიონი 3:1

იტალია. სერია ბ

პიზა-ჩიტადელა 1:4

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

აიაჩო-გაზელეკი 1:0

ლანსი-სტრასბურგი 1:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ეშტორილი-ჩავესი 2:1

ჩეხეთი. პრემიერლიგა

უფა-კრილია 1:3

ანჟი-ლოკომოტივი 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

აკჰისარი-გაზიანთები 6:0

ქარაბუქი-ოსმანლი 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა
პლეი აუტი

კრაკოვია-არკა 2:0

დანია. სუპერლიგა
პლეი აუტი

ესბიერგი-ოდენსე 1:1

ჰორსენსი-რანდერსი 2:1

შვედეთი. ალსვენსკა

ელფსბორგი-მალმიო 1:2

ნორჩიოპინგი-სუნდსვალდი 0:0

ნორვეგია. ელიტსერია

ლილესტრიომი-ოდ გრელანდი 0:1

რა დაავადებაა შაქრიანი დიაბეტი

ეკა ირემაშვილი

შაქრიანი დიაბეტი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ქრონიკული ჰიპერგლიკემიით ანუ სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მომატებით.

არცერთ სხვა ქრონიკულ დაავადებას არ ახლავს იმდენი გართულება, რამდენიც შაქრიან დიაბეტს, რომელიც, პრაქტიკულად, ორგანიზმის ყველა სისტემას აზიანებს.

დღეისათვის მსოფლიოში 371 მილიონამდე ადამიანია დაავადებული დიაბეტით. ექსპერტთა აზრით, 2025 წლისთვის მათი რაოდენობა 500 მილიონს მიაღწევს.

რა არის შაქრიანი დიაბეტი, რა სიმპტომები ახასიათებს მას და როდის უნდა მიმართოს ადამიანმა ენდოკრინოლოგს? – ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ექიმი-ენდოკრინოლოგი ნანა ლევიძე საუბრობს.

ნანა ლევიძე:

– შაქრიანი დიაბეტი არის ქრონიკული დაავადება, რომელიც ხასიათდება ქრონიკული ჰიპერგლიკემიით ანუ სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მომატებით.

არცერთ სხვა ქრონიკულ დაავადებას არ ახლავს იმდენი გართულება, რამდენიც შაქრიან დიაბეტს, რომელიც, პრაქტიკულად, ორგანიზმის ყველა სისტემას აზიანებს.

დღეისათვის მსოფლიოში 371 მილიონამდე ადამიანია დაავადებული დიაბეტით. ექსპერტთა აზრით, 2025 წლისთვის მათი რაოდენობა 500 მილიონს მიაღწევს.

– რა სიმპტომები ახასიათებს შაქრიან დიაბეტს?

– სამწუხაროდ, დასაწყისში დიაბეტი ფარული მიმდინარეობით ხასიათდება და, შესაძლოა, რაიმე კლინიკური სიმპტომებით არ გამოვლინდეს თვეებისა და წლების განმავლობაში, თუმცა ფარული მიმდინარეობაც დიდ ზიანს აყენებს მთელ ორგანიზმს.

დიაბეტის კლინიკური სიმპტომების გამოვლენა ხდება მაშინ, როდესაც უკვე დაზიანებულია პანკრეასის ბეტა უჯრედების 85-95%.

საყურადღებოა შაქრიანი დიაბეტის შემდეგი სიმპტომები: ხშირი შარდვა, მუდმივი წყურვილის გრძნობა, პირის სიმშრალე, წონის კლება, გაძლიერებული მადა, კანისა და სასქესო ორგანოების ქავილი, მხედველობის დაბინდვა, პარესთეზიები.

– როგორ იმართება შაქრიანი დიაბეტი?

– შაქრიანი დიაბეტის მართვისთვის არსებობს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა. ჩვენი კლინიკაც ამ პროგრამაშია ჩართული. დიაბეტის პროგრამის მიზანია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ამბულატორიული მეთვალყურეობის გაუმჯობესება და შესაძლო გართულებათა პრევენცია – შემცირება.

ზვიგენმა უკბინა მეთევზეს, რომელიც მის დაჭერას ცდილობდა

ავსტრალიაში ზვიგენმა უკბინა მამაკაცს, რომელიც მისთვის თოკის ყულფის ჩამოცმას ცდილობდა.

ინციდენტი კვისლენდის შტატის სანაპიროსთან მოხდა. მეთევზე ნავიდან ზღვაში გადახტა, სადაც იმ დროს ლიმონის ზვიგენი დაცურავდა, რომლის სიგრძე 2,7 მეტრს აღწევდა. მისი მტკიცებით, ზვიგენს პირში სათევზაო ბადე გაებლანდა. მტაცებლის გასათავისუფლებლად, მამაკაცმა გადაწყვიტა, ზვიგენი ნავზე აეთრია.

– მინდოდა, მისთვის პირში მილი ჩამედო და ასე ამომეღო ნემსკავები, შემდეგ კი ისევ ზღვაში გამეშვა, – განმარტა მეთევზემ.

როდესაც ის ზვიგენისთვის კუდზე თოკის ყულფის ჩამოცმას შეეცადა, თევზი დაუსხლტა და ფეხზე უკბინა. მამაკაცმა ნავზე აძრომა მოახერხა, თან სისხლდენის შეჩერებას ცდილობდა. მეგობრებმა ის კვისლენდის ჩრდილოეთ ნაწილში ნახევარკუნძულ კეიპ-იორკის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ლიმონის ზვიგენი სიგრძეში 3,4 მეტრამდე იზრდება და 180 კილოგრამს იწონის. ის იკვებება თევზებით, მოლუსკებითა და ფრინველებით. ამ სახეობის ზვიგენი ადამიანისთვის საფრთხის შემცველია.

სტინგი მანჰეტენზე საკუთარ პენტჰაუსს ყიდის

ბრიტანელი როკ-მუსიკოსი სტინგი მანჰეტენზე თავის ორსართულიან პენტჰაუსს 56 მილიონ დოლარად ყიდის.

მუსიკოსის აპარტამენტების საერთო ფართი 500 კვ.მ-ს აჭარბებს. მასში არის ოთხი საძინებელი, ორი გარდერობი და ორი სააბაზანო ოთახებით, სრულიად თეთრი ფერის სამზარეულო და დიდი ტერასა.

პენტჰაუსს ელიტური შენობის მე-16 და მე-17 სართულები უკავია. მისი ფანჯრები ქალაქის ცენტრალურ პარკს გადაჰყურებს.

სტინგმა და მისმა მეუღლემ აპარტამენტები დეველოპერისგან 2008 წელს 26,98 მილიონ დოლარად შეიძინეს, რის შემდეგაც არქიტექტურისა და დიზაინის ექსპერტები დაიქირავეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წყვილი სახლს იმის გამო ყიდის, რომ უფრო დიდი ფართი სჭირდებათ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ბარაკ ობამა მიშელთან შეხვედრამდე ცოლობას სხვას სთხოვდა

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი ამჟამინდელი მეუღლის მიშელის გაცნობამდე სხვა ქალს ორჯერ სთხოვა ცოლობა.

ავტორი წიგნისა „ამომავალი ვარსკვლავი: ბარაკ ობამას დაბადება", დევიდ გაროუ წერს, რომ ობამა თავის პირველ რჩეულს შეილა მიესი ჯაგერს 80-იან წლებში ჩიკაგოში შეხვდა.

შეილას თქმით, ობამამ მას ხელი 1986 წელს სთხოვა. გოგონამ მომავალ პრეზიდენტს უარი უთხრა, თუმცა ურთიერთობას აგრძელებდნენ.

ობამა ჰარვარდის სამართლის სკოლაში 1988 წელს შევიდა და გამგზავრებამდე კიდევ ერთხელ სთხოვა ხელი ჯაგერს, რომელიც სეულში კვლევით სამუშაოზე იმყოფებოდა, და კვლავ უარი მიიღო.

ობამას ურთიერთობა მიშელთან იურიდიული სკოლის პირველი კურსის შემდეგ დაიწყო, თუმცა, გაროუს თქმით, ის ზოგჯერ კვლავ ხვდებოდა ჯაგერს.

ამჟამად ჯაგერი ობერლინის კოლეჯის პროფესორია და აღმოსავლეთ აზიის კვლევებითაა დაკავებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
10 მაისისათვის

ვერძი – გარშემომყოფებთან პრობლემები გაქვთ. თუ კომპრომისზე არ წახვალთ, სიტუაცია უფრო მეტად გამწვავდება. **კურო** – საყიდლებზე წასასვლელად იჩქარეთ – ნავაჭრი იღბლიანი იქნება. ეძებეთ ახალი სამსახური. დღეს გაგიმართლებთ. **ტყუპები** – დაისვენეთ აქტიურად, ივარჯიშეთ. დღის მეორე ნახევარში იფრთხილეთ – დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **კირჩხიბი** – დღეს მამაკაცებს საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად შანსი გეძლევათ. ეცადეთ, ახალი სასიამოვნო ინფორმაცია მაქსიმალურად თქვენ სასარგებლოდ გამოიყენოთ. **ლომი** – ჰარმონიული პერიოდია. ოპტიმიზმი და აქტიურობა დღის დევიზია. **ქალწული** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები ხელსაყრელ შემოთავაზებას მიიღებთ. **სასწორი** – პროფესიული აღმავლობა არ დააყოვნებს. მთავარია, არ იზარმაცოთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური საქმიანობისთვის. ზომიერება დაიცავით. **მშვილდოსანი** – საჯარო მოხელეებს გიმართლებთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დაგვირგვინდება. **თხის რქა** – იფრთხილეთ. იოლად არავის მიენდოთ. მოტყუების ალბათობა საკმაოდ დიდია. **მერწყული** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. შესაძლოა, დაწყებული პროექტების შეჩერება მოგიხდეთ. **თევზები** – პარტნიორის შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება იოლი არ იქნება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 5. პოლონელი კინორეჟისორი; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. წყალბადის იზოტოპი – „მძიმე წყალი"; 10. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 12. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 14. ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივარი; 15. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 16. კვირადღის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 4. კუთხე საქართველოში; 7. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო, მრგვალი ბალიში; 11. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა; 12. მდინარე გაგრაში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. კომპანია „მაიკროსოფტის" მფლობელი; 18. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 19. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 20. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში არალეგალურად შემოსული მუშახელის სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვიგვამი; 2. ზინდანი; 3. ალკენი; 4. წყრთა; 5. დელაკრუა; 7. კია; 11. ჩხიკვი; 15. ვოლიერი; 16. ქაჯაია; 17. კოლტი; 18. აბაშა; 20. გორდი; 22. მარი.

თარაზულად: 6. იგრიკა; 8. ფინდელი; 9. წურბელა; 10. ვერსაჩე; 12. ტანკი; 13. არაკი; 14. მარიჯანი; 19. შილინგი; 21. ხორუმი; 23. ბრიჯი; 24. სტვირი; 25. არკადია; 26. ნარმანია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯარა; 2. რიქშა; 3. შვეიკი; 5. პროზა; 6. ჩურჩხელა; 8. ბანგლადეში; 10. ოტიატრი; 12. სისტოლა; 14. სტრიპი; 15. რაპიდი; 16. სტელა.

თარაზულად: 1. ჯუღური; 4. აპალაჩი; 7. მექისე; 9. კოზაკი; 11. ინფანტა; 12. საინგილო; 13. ბახუსი; 17. რატუშა; 18. ცეცე; 19. ალტრუიზმი; 20. ვილაიეთი.

რუსუდან გლურჯიძე: „მიხედეთ ქართულ კულტურას!“

ამ მოწოდებით არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული ფილმის, „სხვისი სახლის“ რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე გამოდის. იგი თამთა გაბრიჩიძის ფილმის „სოვდაგარის“ კანადაში გამარჯვებით აღფრთოვანებულია. ფილმი დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული გახდა. „სოვდაგარმა“ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნომინაციაში მთავარი პრიზი მოიპოვა.

რუსუდან გლურჯიძე მოუწოდებს შესაბამის უწყებებს, მიხედონ ქართულ კულტურას – კერძოდ, ქართულ კინოს:

– ციკლიდან არც ერთი დღე ქართული კინოს გამარჯვების გარეშე! მიხედეთ ქართულ კულტურას და კერძოდ, კინოს! ვულოცავ თამთას და მთელ ჯგუფს ძალიან პრესტიჟულ ჯილდოს და ქართული კინოს კიდევ ერთ აღიარებას!

თბილისში ქუჩის ცეკვების ფესტივალი ჩატარდება

თბილისი საერთაშორისო ახალგაზრდული ქუჩის ცეკვების ფესტივალს უმასპინძლებს. ფესტივალის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში მასტერკლასებს ჩაატარებენ სპეციალურად მოწვეული, მსოფლიოში აღიარებული მოცეკვავეები საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან და მოსკოვიდან.

3 დღის განმავლობაში მოწვეული სტუმრები მასტერკლასებს ჩაუტარებენ თანამედროვე ცეკვებში როგორც ადგილობრივ მოცეკვავეებს, ასევე სტუმრებს უკრაინიდან, მოსკოვიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. მასტერკლასებზე დასწრება უპატრონო ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს უფასოდ შეეძლებათ.

ფესტივალის ეგიდით გამართულ ცეკვის შეჯიბრზეც სწორედ ისინი იქნებიან მსაჯები. გალა კონცერტზე კი, რომელიც გარდენ ჰოლში გაიმართება, გამოვლინდებიან გამარჯვებულები, სადაც მოეწყობა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. დასკვნით კონცერტზე მაყურებლის წინაშე წარდგებიან მოცეკვავეები მეზობელი ქვეყნებიდან, ისინი შეასრულებენ სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებულ დაუვიწყარ ნომრებს. საღამოს გალამაზებს საქართველოს ნაციონალური ფედერაცია „პარა დენსი“, ქეთი ზაზანაშვილი კი შეკრებილ საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაარწმუნებს იმაში, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს.

გიორგი გაბუნიამ და სოფო ნიჟარაძემ საუკეთესო ოთხეულები აარჩიეს

მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორი“ გადამწყვეტ ფაზაში შედის. შოუს ორმა მენტორმა გიორგი გაბუნიამ და სოფო ნიჟარაძემ შერჩეული ათეულიდან საუკეთესო ოთხეული აარჩიეს. გიორგი გაბუნიას წელს ბავშვების კატეგორია ჩააბარეს, სოფო ნიჟარაძეს კი – ბიჭების.

4 სკამის ტურში ბიჭების კატეგორიიდან „იქს ფაქტორის“ შემდეგ ტურებში მონაწილეობას მიიღებენ ხვიჩა კვარაცხელია, ნიკა ლაზარიაშვილი, მერაბ ამზოევი და სანდრო კურცხალიძე. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მათმა მენტორმა სოფო ნიჟარაძემ.

ბავშვების კატეგორიიდან კი 4 სკამის დაკავების უფლება მოიპოვეს გრიგოლ ყიფშიძემ, დაიანა შავაძემ, თამარ ედილაშვილმა და ლიზა კალანდაძემ. ბავშვების კატეგორიის მენტორის გიორგი გაბუნიას გადაწყვეტილებით, სწორედ ამ ბავშვებს მიეცათ საშუალება, პროექტში გამარჯვებისთვის იბრძოლონ.

მომავალ ორშაბათს საუკეთესო ათეულიდან რჩეულებს ლელა წურწუმია და სტეფანე მღებრიშვილი დაასახელებენ. ლელა წურწუმიას გოგონების კატეგორია შეხვდა, სტეფანეს კი – ჯგუფების. მათ რჩეულებიდან 4 საუკეთესოს დასახელება მოუწევთ, რომლებსაც ისინი მათთვის განკუთვნილ 4 სკამზე დასვამენ.

„იქს ფაქტორის“ ოთხივე მენტორი ამის შემდეგ ოთხეულებიდან 2 სკამის ტურის ფავორიტებს დაასახელებენ და შოუს პირდაპირი ეთერებიც დაიწყება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გიორგი უშიკიშვილი: „ყველაზე საშიში ეროვნულობას ამოფარებული „პატრიოტები“ არიან“

ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი და მომღერალი გიორგი უშიკიშვილი საქართველოში ჩამოსული მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის ვიზიტთან და ქართველების მიერ მის მიღებასთან დაკავშირებით საჯაროდ საუბრობს:

– დარწმუნებული ვარ, ისეთებიც მოიძებნებოდნენ, რომლებიც ვახშამზე ხალხურ სიმღერებს შეუსრულებდნენ. სულიკო და თბილისოც არ გამორჩებოდათ! ასეთი ანსამბლი კი მეგულება რამდენიმე... ყველაზე საშიში ეროვნულობას ამოფარებული „პატრიოტები“ არიან.

ჩვენი ერის წინააღმდეგ ვინც გაიყიდება, მისი არც ნამღერი მინდა და არც ნაცეკვი! თქვენი ყოველი ნამღერი თუ ნაცეკვი ნულის ტოლია!

რუსთაველის საზოგადოება იური ლუჟკოვის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას ითხოვს

საქართველოს რუსთაველის საზოგადოება და მისი პრეზიდენტი, მწერალი და პოეტი დავით შემოქმედელი მოსკოვის ყოფილი მერის, იური ლუჟკოვის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას ითხოვს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური განცხადებით მიმართავს:

– მასმედიის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში მყოფმა მოსკოვის ყოფილმა მერმა, იური ლუჟკოვმა, გააკეთა შემდეგი სახის განცხადება:

„აფხაზეთი სხვა ქვეყანაა, ეს სულ სხვა ხალხია. ასეა ოსეთიც. ბუნებრივია, არსებობს გარკვეული ნოსტალგია და ბრაზი, მაგრამ ვფიქრობ, საქართველო ამ რეგიონების ჩამოშორების შემდეგ, მომავალში უკეთ იგრძნობს თავს.“

მოვითხოვთ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული განცხადების გამო, რომელიც ლახავს ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რუსეთის სახელმწიფოს მოქალაქე, იური ლუჟკოვი, საქართველოში გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად.

ნოდიკო ტატიშვილი: „არანაირი კონცერტი არ ჩაშლილა!“

მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი იტალიაში მისი, სალომე ბაკურაძის და თიკა მახალდიანის კონცერტის ჩაშლის თემას ეხმაურება და გავრცელებულ ინფორმაციას ტყუილს უწოდებს:

– სოს! მეგობრებო! არანაირი კონცერტი არ ჩაშლილა!

ერთი ჟურნალისტის გადაუმოწმებელი ინფორმაციით გაჯერებულ სტატიას ერთ-ერთ საინფორმაციო პორტალზე, რომელიც ეხებოდა ჩემს, სალომე ბაკურაძისა და თიკა მახალდიანის კონცერტებს იტალიაში, დიდი გაუგებრობა მოყვა სოციალურ ქსელში!

ვიღაცებს კი გაუხარიათ, მაგრამ რა დასანანია, რომ ტყუილად გაგიხარიათ. მერე ისიც გავიგეთ, ვის აწყობდა ასეთი აყალ-მაყალის ატეხა, თუმცა ასეთ ავანტიურისტსა და ინტრიგან ადამიანზე ყურადღებას ვერ გავამახვილებ!

მოკლედ, 14 მაისს ვეწვევით ქალაქ ნეაპოლს, სადაც თეატრ „ტრეანონში“ ვიმღერებთ ქართველი ემიგრანტებისთვის! დაინტერესება იმდენად დიდია, რომ ორგანიზატორები სრულ ანშლაგს გვპირდებიან! ჩვენც დიდი სიხარულით ველით ნეაპოლელ და სალერნოელ ემიგრანტებთან შეხვედრას! რაც შეეხება მეორე ქალაქ – ემპოლის კონცერტს, ემპოლის კონცერტი გაიმართება შემოდგომაზე, რადგანაც ორგანიზატორების სურვილია, რომ ჩვენი გასტროლი მოხდეს ერთ-ერთი თოქ-შოუს ფარგლებში, როგორც ეს მოხდა ჩემი და ნინი ბადურაშვილის ათენში გასტროლის დროს! ამიტომ, აი, ეს გახლავთ ზუსტი ინფორმაცია, არანაირი კონცერტი არც ჩაშლილა!

ახლა მაინტერესებს, ეს საინფორმაციო პორტალები ასეთივე დიდი ენთუზიაზმით გააზიარებენ თუ არა ჩემს სტატუსს, სადაც ასახულია ნამდვილი ინფორმაცია!

ვთხოვ, თითოეულ ჟურნალისტს, რომ თუკი ვინმე ჩემს სახელს ახსენებს ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით, გადაამოწმოთ ჩემთან და ისე დაბეჭდოთ!

„ბინა 18“ იმედზე განახლდება

ტელეკომპანია „ჯიდიესის“ დახურვის შემდეგ იუმორისტული გადაცემა „ბინა 18“-იც დაიხურა. მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროექტი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სულ მალე გავიდოდა. მაშინ გადაცემის ერთ-ერთმა წამყვანმა თემო მჟავიამ განაცხადა, რომ „ბინა 18“ სპეციალურად ჯიდიესისთვის გაკეთდა და მისი ნახვა სხვა არხზე შეუძლებელი იქნებოდა:

– „ბინა 18“ შეიქმნა სპეციალურად ჯიდიესისთვის და დამთავრდა სპეციალურად ჯიდიესისთვის! დიდი მადლობა, მე რომ მოვიფიქრე და წამოვიწყე ეს პროექტი და დიდი მადლობა იმ სუპერპროფესიონალებისგან დაკომპლექტებულ გუნდს, რომელიც ამდენი წელი აკეთებდა ბინას. აუცილებლად შევხვდებით, მაგრამ არა ბინაში. კერძო სახლის დრო მოვიდა!

10 მაისს „ბინა 18“-ის გუნდი ტელეკომპანია „იმედში“ ახალ გადაცემას წაიყვანს. „შინაურები“ – ასე ეწოდება პროექტს, რომელიც საინტერესო სტუმრებით და ხალისიანი იუმორით გაართობს მაყურებელს. „ბინა 18“-ის დახურვის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თემო მჟავიასთან და ფაქოსთან, იგივე ლევან გოგორელიანთან ერთად, გადაცემის თანაწამყვანი აღარ იქნებოდა ნინი გოგიჩაიშვილი, თუმცა ეს ინფორმაცია არ გამართლდა – შოუს სამეული ისევ ერთად არის და ახალი ფორმატით გასულ გადაცემაშიც სტუმრებს კვლავ ერთად უმასპინძლებენ:

– 10 მაისს მონატრებული ორნოლოგით, საინტერესო სტუმრებით, სახალისო თამაშებითა და რობერტო მავანით „შინაურები“ იწყება! პირველი გადაცემის სტუმრები არიან ალექსანდრა პაიჭაძე, ირაკლი მაქაცარია და ლევან ჯავახიშვილი. დაგველოდეთ, ჩვენ დავბრუნდით!

ფაქოსთან, თემო მჟავიასთან, ნინი გოგიჩაიშვილთან და რობერტო მავანისთან ერთად, შოუში იქნება რეზო ბლიაძე და მისი ბენდი. ამ ბენდს მაყურებელი ილო ბერეშვილის შოუდან იცნობს.

პროგრამა

ოთხშაბათი
10 მაისი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ფერმა" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.50** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 03.50** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **22.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის პირველი 1/2 ფინალური მატჩი **00.30** მხ/ფ "**სასასცილო ადამიანები**" (ა.სენდლერი)

08.00 დოკ/ფ "ვატიკანი ნამდვილი ძალაუფლება" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დოკ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **11.30** დოკ/ფ "დიდი ხელოვნება" **12.00** დოკ/ფ "ანატოლიის გარგარი" **13.00** ტ/სერ. "**ჩინეთი ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი" **15.00, 18.00, 20.40** "ბრიფინგის დრო" **17.00** დოკ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ " **საკმე მთავარის საიდუმლო**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაბარაძლი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული სხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**უხამსი წინადადება**" **01.30** მხ/ფ "**ნეტარების ჭაში**" **03.30** მხ/ფ "**სტეპფორდელი ცოლები**"

06.00, 18.30 სერ."**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ."**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

08.00 ან/სერ. ფანბოი და ჩამ-ჩამი **08.30** ან/სერ. ავატარი **09.00** სერ. "**აღძვა**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **13.00** სერ. "**შავი კოდი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბორტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**დიდებული გეტსბი**" **01.05** მხ/ფ "**ოუშენის თერთმეტი მეგობარი**" **03.15** მხ/ფ "**ოუშენის თორმეტი მეგობარი**" **05.35** მხ/ფ "**ოუშენის ცამეტი მეგობარი**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მარილმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" IV ნაწ. **10.30** დ/ფ "ველური ბუნება" **11.10** მიწათმოქმედი "სასუქი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "დუმფარა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** კონცერტი "პოლიფონია" **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**იყო შაშვი მგალობელი**" **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი "რუსუდან ფეტვიაშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "ტაოკლარჯეთი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** საუკუნის პორტრეტები "გალაკტიონი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(სურდო გახმოვანებით) **8.00, 0.30** სერ. "**ქალბატონი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 15.30** სერ. "**ჯადოქარი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00,** სერ. "**ესკობარი**" **0.00, 3.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.437

ევრო — 2.6671

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1586

100 რუსული რუბლი — 4.1831

ამინდის პროგნოზი 10 მაისისთვის

3 მაისიდან

ქართული დეტექტივი, ტომი 12

აბუსერიძეების საგა

მაია ბურჭულაძე

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

4 მაისიდან



სერია „ქართული საუნჯე“

ბავშვებს

50 საბავშვო ლექსი
მაგარი ყდა, ფერადი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

9 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო

დეკამერონი

II ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

11 მაისიდან

სულხან საბას

იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

რიად მარეზს ლესტერიდან წასვლა სურს

ლესტერის ალჟირელ ფორვარდ რიად მარეზს ლესტერიდან წასვლა და კარიერის უფრო ძლიერ გუნდში გაგრძელება სურს. მარეზმა უკვე მიმართა თხოვნით ლესტერის ხელმძღვანელობას, რომ არ შეუშალონ მას ხელი იმ შემთხვევაში, თუ მისი შეძენით რომელიმე გრანდი დაინტერესდება.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი კონკრეტულად რომელიმე კლუბი, სადაც მარეზი გააგრძელებს კარიერას, თუმცა, სავარაუდოდ, ალჟირელი ფეხბურთელი ინგლისის ჩემპიონატის რომელიმე წამყვან გუნდში აღმოჩნდება.

მარეზით შარშან არსენალი იყო დაინტერესებული და, შესაძლოა, მარეზი სწორედ არსენალის ფეხბურთელი გახდეს.

ალვარო მორატამ ჩინეთში თამაშზე უარი თქვა

მადრიდის რეალის ესპანელმა ფორვარდმა ალვარო მორატამ ჩინეთში თამაშზე უარი თქვა. მას ერთ-ერთი გუნდი ეპატიჟებოდა, რომელიც მორატას ანაზღაურების სახით წელიწადში 10 მილიონ ევროს დაჰპირდა.



მიუხედავად ასეთი მაცდური წინადადებისა, მორატამ უარი განაცხადა და თქვა, რომ მას მაღალ საკლუბო დონეზე სურს თამაში.

რეალიდან წასვლის შემთხვევაში მორატა კარიერას ინგლისის პრემიერ ლიგაში გააგრძელებს ან ისევ იტალიაში დაბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ მორატამ 2 წელიწადი ტურინის იუვენტუსში გაატარა, სადაც 2015 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გავიდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

დედა თავის ქალიშვილს ეუბნება:

– შვილო, არ გაჰყვე იმ ბიჭს ცოლად.

– რატომ?

– ობოლია, თანაც კოჭლი.

– მე ლამაზი და მდიდარი არც მჭირდება.

– ეგ არც მიგულისხმია, შეიცოდე, ისედაც ცხოვრებისგან არის დატანჯული.

•••

ორი ახლობელი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– რამდენი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს, წავიდეთ, აღვნიშნოთ.

– არა, სმას თავი დავანებე.

– რატომ?

– შარშანდელი ზაფხული გახსოვს?

– მახსოვს.

– მე კი არ მახსოვს!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– როდესაც კარგ განწყობაზე ვარ, საჭმელს ვამზადებ, ხოლო როდესაც ცუდზე, ვჭამ.

– გეტყობა, უფრო ხშირად ცუდ განწყობაზე ხარ.

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

– როგორი ფინანსური მდგომარეობა გაქვთ?

– იძულებული ვარ, ცოლის სიყვარულით დავკმაყოფილდე...

•••

მასპინძელი სტუმარს ეუბნება:

– რაღაც სული მეხუთება.

– ფანჯარა გამოვაღო?

– არა, უბრალოდ, წადით.

•••

საკონტროლო წერის დროს გიგი გვერდით მჯდომ გივის ეჩურჩულება:

– ჩვენ ახალ მასწავლებელს, მაგარი უკანალი აქვს.

მასწავლებელმა შენიშნა და გიგის შენიშვნას აძლევს:

– გიგი, გივის ხელს ნუ უშლი კარნახით, თვითონაც კარგად იცის.

•••

საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ ექიმი პაციენტს ეუბნება:

– თქვენთვის ორი ამბავი მაქვს, ცუდი და კარგი.

– ცუდი რომელია?

– გამოკვლევამ აჩვენა, რომ თქვენ ფარული ჰომოსექსუალი ხართ.

– და კარგი რაღა უნდა იყოს?

– ძალიან მესიმპათიურებით!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოსილი. ლაშა იმედაშვილი რომანში **„სამი მკვლელობა ძველ თბილისში“** ამ ტრაგედიის საკუთარ ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

„პატრიარქის ზაფხული“ კი პატრიარქ კირიონის ასევე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას ეხება.

დეტექტიური სიუჟეტის პარალელურად, რომანებში აღწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების თბილისისა და საქართველოს ცხოვრება.

ლაშა იმედაშვილის მაღალი სამწერლო ოსტატობა და განუმეორებელი სტილი მკითხველს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.

გარეტ ბეილმა, შესაძლოა, რეალი დატოვოს

მადრიდის რეალის უელსელმა ფორვარდმა გარეტ ბეილმა, შესაძლოა, ზაფხულში გუნდი დატოვოს. ამის მიზეზი ის არის, რომ ბეილს ხშირად აქვს ტრავმები, რის გამოც მას ბევრი მატჩი გაუცდა, მისმა შემცვლელებმა კი თავი ძალიან კარგად წარმოაჩინეს.

შესაძლოა, ბეილმა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაკარგოს, ამას კი უელსელი ფეხბურთელი არ შეეგუება.

ბეილის შეძენა საკმაოდ ბევრ გუნდს სურს, მათ შორის ჩელსისა და მანჩესტერ იუნაიტედს, რომლებიც მზად არიან, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადონ.

გარეტ ბეილი მადრიდის რეალში 2013 წლის ზაფხულში გადავიდა და რამდენიმე კარგი სეზონიც ჩაატარა, თუმცა წელს მას ამის გაკეთებაში ტრავმები უშლის ხელს.

ლივერპული კოუტინიოში 90 მილიონ ევროს ითხოვს

ლივერპული თავის ბრაზილიელ ნახევარმცველ ფილიპე კოუტინიოში 90 მილიონ ევროს ითხოვს.

ბარსელონა და კოუტინიო უკვე შეთანხმდნენ კონტრაქტის პირობაზე და ახლა ამ ტრანსფერის განსახორციელებლად ლივერპულის თანხმობაა საჭირო.

ლივერპულს კოუტინიოს გაყიდვა არ სურს, მაგრამ, თუ ბარსელონა 90 მილიონს გადაიხდის, მაშინ მერსისაიდელები აზრს შეიცვლიან.

ბარსელონას ზაფხულში რამდენიმე ტრანსფერი აქვს დაგეგმილი და კოუტინიო კატალონიური გუნდის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა. როგორც ესპანური პრესა იტყობინება, კოუტინიომ ბარსელონაში თამაშზე თანხმობა განაცხადა.

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ამერიკელი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 2. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 3. რეგიონი კახეთში; 4. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 7. ავსტრალიური სირაქლემა; 11. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 15. მზეზე მიმდინარე აფეთქების პროცესი; 16. ორგულობა, გამცემლობა, ვერაგობა; 17. ვეშაპებზე სანადირო-სატყორცნი იარაღი; 18. უმთვარო, ბნელი ღამე; 20. მდინარე რომში; 22. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე.

თარაზულად: 6. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 8. პარიზის ძველი სახელწოდება; 9. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. საჭმელი სოკო; 13. გამოუწვავი აგური; 14. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 19. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 21. ესპანური გრძელი, დასაკეცი დანა; 23. ფულის ერთეული ირანში; 24. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 25. მინერალური წყალი საქართველოში; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის პორტუგალიური ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის მაღალხარისხოვან ღვინოს.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა